# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 22 იანვარი 1999 №9 (782) | ფასი 50 თეთრი

2

## ბლატერი რუსეთს 20 წელიწადს ალოდინებს

ვალერი ჩოლარიას კი კვირას შეხვდება

5

## ვალიადოლიდს ზედმეტი მოუვიდა

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ „ვალიადოლიდს“ ხუთი არაევროკავშირელის თამაშისთვის მოგებულ შეხვედრაში წაგება ჩაუთვალა

8

## ვაითუ ტონგამ შეგვჭამოს?!

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა უელსურ კლუბებთან სამი მატჩი წააგო

11

## რუსული რაკეტა ნიუ იორკში აფეთქდა

ექვსი თვე უქმად მყოფმა პაველ ბურემ პირველივე თამაშში ორი შაიბა გაიტანა



REUTERS კიცბიუელიდან







# გუშინ კიცბიუელში კინაღამ ტრაგედია დატრიალდა

### ავსტრიელმა პატრიკ ორტლიბმა შტრაიფის ხიფათიან ტრასაზე დაშვება ძვლებდამსხვრეულმა დაასრულა

ალბერვილის ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ავსტრიელი სამთომოთხილამურე პატრიკ ორტლიბი მშობლიური კიცბიულის მთებში ისე დაშავდა, შეიძლება თხილამურებისკენ აღარც გაიხედოს. არადა, 31 წლის ორტლიბს სწორედ წლეულს, მსოფლიოს თასის დამთავრებისთანავე სურდა კარიერის დასრულება...

კიცბიუელის შტრაიფის სწრაფდაშვების ტრასა, განსაკუთრებით კი მისი ჰაუსბერგკანტის მოსახვევი ბევრი სამთომოთხილამურისთვის საბედისწერო გამოდგა — კანადელ ბრაიან სტელმს, ნორვეგიელ ლასე კიუსს, ფრანგ ფრედერიკ მარიან კუდრასს და ბევრ სხვასაც წაუტეხია კისერი ამ ტიალ ადგილზე, თუმცა ეს სპორტსმენები დღესაც დასრიალებენ სამთო ტრასებზე, ორტლიბი კი...

პატრიკ ორტლიბს ვარჯიშისას თოვლზე მარჯვენა ფეხი „გაექცა“, ჰაერში ორჯერ ამოტრიალდა და რომ არა დამცავი ბადე, კიცბიულის ჭიუხებში ამოჰყოფდა თავს. ტრასაზე უგონოდ განრთხმულ ავსტრიელს უმალ მიეშველნენ — ვერტმფრენით საავადმყოფოში გააქანეს. ინსბრუკელ ექიმთა თქმით, ორტლიბს ბარძაყისა და მენჯის ძვლები აქვს მოტეხილი და მისი მალე გამომჯობინება და თოვლზე სრიალი საეჭვოა. საბედნიეროდ, პატრიკი გონზე მალე მოსულა და ჟალაბისთვის შეუთვლია, თქვენ არაფერზე იდარდოთ, განა ისეთი რა მჭირსო...

# ვინ არის პოლ გოლდსტაინი?

ასპარეზობის მეოთხე დღეს მელბურნში კვლავაც გაგორდა ფავორიტთა თავები: ამჯერად გუდანაბადი უსწრაფესად მომწოდებელმა გრეგ რუზეცკიმ და როლან გაროსის სამგზის ჩემპიონმა არანჩა სანჩეს ვიკარიომ აიკრეს

იხილეთ მეათე გვერდი



REUTERS მელბურნიდან

არანჩა სანჩეს ვიკარიოს შინ წასვლა არ უნდოდა

# ბლატერი რუსეთს 20 წელიწადს ალოდინებს

## ვალერი ჩოლარიას კი კვირას შეხვდება

ხვალ მოსკოვს ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი ჩავა, სადაც კვირას ყოფილი საბჭოთა კავშირის თხუთმეტივე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა მეთაურებს შეხვდება. ამის თაობაზე ზეპ ბლატერმა გუშინ „როიტერის" სააგენტოს განუცხადა.

— მიზეზთა გამო ერთ დროს ძლევამოსილი საბჭოთა საფეხბურთო მანქანა ახლა დასავლეთ ევროპის გუნდებს ნიჭიერი ფეხბურთელებით ამარაგებს. მაგრამ სატრანსფერო გარიგებათა წესები უფრო უნდა მოწესრიგდეს. მე შევთავაზებ ესენგეს ქვეყნების საფეხბურთო ლიდერებს ამ პროცესების გათანაბრებას — თქვა ფიფას პრეზიდენტმა, რომელიც ამ რანგში მოსკოვს პირველად ჩადის.

დეტალები კი ბლატერს არ დაუზუსტებია — ეს მხოლოდ ჩემი კი არა, მთლიანად ფიფას გადასაწყვეტიაო.

ბლატერის განცხადება არა მხოლოდ ესენგეს, არამედ აფრიკის და მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც ეხებათ.

— ყველა ტრანსფერი ფიფას წესებს უნდა მიესადაგოს. ეს ისე უნდა შევძლოთ, რომ კლუბები, რომლებმაც ახალგაზრდა ფეხბურთელის აღზრდაში და ვარჯიშში დაიხარჯნენ, არ დაზარალდნენ — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა.

ბლატერმა ისიც აღნიშნა, ეს ჩემი პირველი ვიზიტია მოსკოვში და უფრო იმიტომ ჩავდივარ, რომ თხუთმეტივე ფედერაციის ხელმძღვანელები გავიცნოო. ათი მათგანი უეფას წევრია, ხუთიც აზიის კონფედერაციისა, მაგრამ მათი განვითარება ფიფას საზრუნავია. შესაძლებელია ფიფამ გრანტები გამოუყოს განვითარებად ქვეყნებს, რათა მათ თავიანთი ნაგებობები და საფეხბურთო ინფრასტრუქტურა სრულყონ. პირველი ნაბიჯი 83-ათასიან „ლუჟნიკის" სტადიონისთვის გრანტის გამოყოფა იქნება, რომელმაც წლეულს მაისში უეფას თასის ფინალს უნდა უმასპინძლოს.

სააგენტოს კორესპონდენტის კითხვაზე, აუსრულდება თუ არა რუსეთს დიდი ხნის ოცნება — მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა უახლოეს ხანებში, ბლატერმა უპასუხა — „ლუჟნიკი" შესანიშნავი სტადიონია, მაგრამ მსოფლიოს თასის სამასპინძლოდ რუსეთს სულ ცოტა, 8 სტადიონი დასჭირდება. მან, როგორც ევროპის ქვეყანამ, კიდევ 20 წელი უნდა მოიცადოს, რადგან ფიფაში 6 კონფედერაციაა. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა კი ყველას უნდა.

იოზეფ ბლატერმა რუსეთსა და ესენგეს სხვა წევრ ქვეყნებს მსოფლიოს 17 და 20 წლამდელთა ჩემპიონატების გამართვა ურჩია.

მოსკოვში, ცხადია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელიც ჩავა. ფიფას ახალ პრეზიდენტთან ნაცნობობის ბედნიერება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს ვალერი ჩოლარიას ექნება.

**ვახტანგ ბზიკაძე**



ზეპ ბლატერი კვირას 15 პოსტსაბჭოელს შეხვდება

# გია ტყებუჩავა: წამსვლელი უნდა წავიდეს!



*თვეზე ოდნავ მეტიც და ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე განახლდება. ვინც კი შეძლებულ გუნდად ითვლება ჩვენში, ყველამ სხვაგან მოისურვა შეკრების გავლა და არა საკუთარ ქალაქში. აგერ „არსენალი" ორი დღეა, რაც ბულგარეთს გაემგზავრა, „ტორპედო" დღეს ანთალიას გაეშურა. უცხოეთში მომზადება „დინამოს", „ბათუმს", „ვიტ ჯორჯიას" და სხვებსაც სურთ, ზოგს კი უკეთესი პირობების საძიებლად უკვე რა ხანია, თავისი ადგილსამყოფელი მიუტოვებია.*

*პირველი წრის მესამეადგილოსანი ფოთის „კოლხეთი", მართალია, დღესდღეისობით უცხოეთში არ იმყოფება, მაგრამ მოსამზადებლად არც აქ დარჩენას აპირებს. კოლხები ბაკურიანში შეკრებილან, სადაც ძირითადად ფიზიკურად მოლონიერდებიან, ხვალ ფოთში დაბრუნდებიან, თებერვლის დასაწყისში კი ნაცნობ ადგილს, ბულგარულ ბურგასს [illegible]კითხავენ ორი კვირით.*

*გუშინდელ „სარბიელში" კოლხი მცველის ბადრი ახვლედიანის ქუთაისის „ტორპედოში" შესაძლო გადასვლაზე გაუწყეთ, ისიც დავამატეთ, იგი იმერლებს ანთალიაში გაჰყვება შეკრებაზეო. ასეც მოხდა, რადგან...*

*ამ საკითხის გასარკვევად გუშინ „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტს თენგიზ ქოიავას შევეხმიანეთ, რომელმაც გუნდის მწვრთნელთან მიგვასწავლა.*

— მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ახვლედიანს ჩვენთან კიდევ ორი წელი აკავშირებს, ამ ხნის მანძილზე მის არსად გაშვებას არ ვაპირებთ. მართალია, „ტორპედოს" მისი წაყვანა სურს, მაგრამ ეს საქმე, როგორც თავად ჰგონიათ, ასე ადვილად არ გადაწყდება. მე არ ვიცი, ახლა სად იმყოფება ახვლედიანი, ამის გასაგებად მწვრთნელს, გია ტყებუჩავას მიმართეთო — გვითხრა თენგიზ ქოიავამ.

ჩვენც კოლხთა თავკაცს ბაკურიანში დავუკავშირდით და გუნდის სამზადისზეც ვკითხეთ. კოლხები ხომ უკვე 12 დღეა, რაც ბაკურიანში, სასტუმრო „მწვანე ველში" იმყოფებიან და ჯერ ფიზიკურად ძლიერდებიან.

— ბადრი ახვლედიანი შეკრებაზე ჩვენთან ერთად არ იმყოფება. სიმართლე გითხრათ, ამ საქმეში არც ვერევი. თუ არ უნდა ჩვენთან ყოფნა, ნუ დარჩება. ეს მისი გადასაწყვეტია. ტრანსფერი შედგება თუ არა, არ ვიცი, ეს კლუბის ხელმძღვანელობის პრეროგატივაა. ჩემი საქმე ფეხბურთელების მომზადებაა და მთელი ყურადღებაც ამაზე მაქვს გამახვილებული. კიდევ ერთხელ გეუბნებით, ახვლედიანი ჩვენთან ერთად არ არის.

**— უკვე კარგა ხანია, რაც ბაკურიანში იმყოფებით. საყოფაცხოვრებო პირობებით და ბიჭების მომზადების დონით კმაყოფილი ხართ?**

— ძალიან. სასტუმროს მომსახურე პერსონალი დიდ ყურადღებას გვაქცევს. ყველანი თავზე გვევლებიან. ფეხბურთელებითაც კმაყოფილი ვარ, ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს და ბიჭებიც დილა-საღამოს მონდომებით ემზადებიან, ყველანი გრძნობენ პასუხისმგებლობას და საქმესაც პროფესიონალურად უდგებიან.

**— გუნდი ვინც დატოვა, ცნობილია. კიდევ ვინმე ხომ არ აპირებს წასვლას. ახალგაზრდების გარდა ვინმე ხომ არ შეიმატეთ?**

— წასასვლელები ვინც იყვნენ, წავიდნენ, თუ არ უნდათ, არც არავის ვაკავებთ. ახალგაზრდები ფარმ-კლუბიდან რომ დავიმატეთ, თქვენთვის ცნობილია. დავიბრუნეთ სეზონის დასაწყისში „გურიაში" წასულები, ვეტერანები გია გიორგაძე და დათო მახარაძე, აგრეთვე პირველ წრეში „ოდიშში" მოთამაშე გიორგი ჩადუნელი დავიმატეთ.

**— ?!**

— გიორგაძე და მახარაძე გუნდის წინა ხელმძღვანელობამ სეზონის დაწყების წინ გაუშვა და ესენიც, ცოტა არ იყოს, ნაწყენები იყვნენ. მათი დაბრუნება ჩემი უდიდესი ძალისხმევით და თხოვნით მოხერხდა და კმაყოფილი ვარ, რომ ვეტერანებმაც არ იუარეს. მათი გამოცდილება ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს დიდად წაადგება.

**— რამდენადაც ვიცით, შეკრებაზე გუნდთან ერთად ჯონი შალამბერიძე არ იმყოფება. გუნდიდან წასვლას ხომ არ აპირებს?**

— არა, შალამბერიძეს მეუღლე ჰყავს შეუძლოდ და თავად გვთხოვა შეკრებიდან გათავისუფლება, ჩვენც გავუგეთ და უარი არ გვითქვამს. გუნდიდან წასვლაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

**— სამომავლო გეგმებზე რას იტყვით?**

— 23-ში ფოთში დავბრუნდებით, თებერვლის დასაწყისში კი ნაცნობ ადგილას, ბულგარულ ბურგასში წავალთ. იქ უკვე ბურთთანაც ვივარჯიშებთ და საკონტროლო თამაშებსაც გავმართავთ.

**— მწვრთნელთა შტაბში რაიმე ხომ არ შეცვლილა?**

— ჩემს თანაშემწედ ნუგზარ თვარაძე და მეკარეთა მწვრთნელად გულო ჩემინავა რომ დაინიშნენ, თქვენთვის, ალბათ, ცნობილია. გარდა ამისა, ადმინისტრატორი იური გობრონიძე იქნება, ექიმ-მასაჟისტად კი ახალგაზრდული ნაკრებიდან თემურ შერაზადაშვილი დაგვიბრუნდა.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ტორპედომ საბუთები მოაწესრიგა

გამთენიისას ქუთაისის „ტორპედო" ანთალიაში ორკვირიან შეკრებაზე გაემგზავრა. გუშინ კი კლუბის ხელმძღვანელობამ რამდენიმე ახალ ფეხბურთელს გაუფორმა კონტრაქტი.

„ტორპედოს" თავისი ბედი ორ-ორი წლით დაუკავშირეს ყოფილმა სამგურალელებმა ზვიად სტურუამ და დავით ჯანაშიას ძმამ კახამ, სიონელმა გიორგი მაზანაშვილმა და მცირე ხნით „ტორპედოს" განშორებულმა კონსტანტინე მეტრეველმა. ვახტანგ ხვადაგიანის კონტრაქტი კი, როგორც ადრე გამცნეთ, წელიწადნახევრიანია.

ანთალიის გზას ეს ფეხბურთელები დაადგნენ: მეკარეები — ჭანტურია, ასლანაძე, სტურუა; მცველები — შეყრილაძე, ჩხაბერიძე, მაღლაკელიძე, თურმანიძე, ხვადაგიანი, ახვლედიანი; ნახევარმცველები — ჩხეტიანი, ვაჩიბერაძე, კვეტენაძე, კახა ჯანაშია, მაზანაშვილი; თავდამსხმელები — დავით ჯანაშია, იონანიძე, მეგრელაძე, იმედაძე.

მათ გარდა გუნდს, ცხადია, მთავარი მწვრთნელი ჯემალ ხერხაძე, თანაშემწეები გელა კიკალეიშვილი და გიორგი აბზიანიძე, მედპერსონალი და კლუბის დირექტორი მურად ქუთათელაძე გაყვნენ.

# რუსთაველები რუსეთის ავიახაზების სამსახურში

ჩემპიონატის განახლების მომლოდინე ქართული კლუბები მზადებას განაგრძობენ. ერთეულები წვრთნას უცხოეთში გადიან, ბევრი კი შინაურ პირობებში ემზადება. გუნდების უმეტესობა სასურველი ფეხბურთელების ძიებაშია, ძველ შემადგენლობასთან მათ შეთამაშებას ცდილობს. ასე რომ, მეტნაკლებად თითქმის ყველა კლუბმა იცის, თუ როგორ შეხვდება ჩემპიონატის მეორე წრეს.

რუსთავის „გორდა" კი დღეისათვის გაურკვეველ (რბილად რომ ვთქვათ) სიტუაციაშია. თუ რატომ, თავად განსაჯეთ.

ადრე ვიუწყებოდით, რომ „ფოლადზე" ხუთიოდე კაცი ვარჯიშობდა ინდივიდუალურად. დღეისათვის მათი რიცხვი გაიზარდა, ოღონდ...

პირველი წრის შემდეგ ფეხბურთელთა უმეტესობას თვალი კლუბიდან წასვლაზე ეჭირა. დღეისათვის ბევრი მათგანი რუსთავს უკან დაუბრუნდა ალექსანდრე ბურნაძისა და ამირან კეღელაშვილის ლიპეცკის „მეტალურგში" გადასვლა ვერ მოხერხდა — სატრანსფერო საქმეში არაერთხელ ხელმოცარულ ქართველ მენეჯერთა „ბედოვლათობა" ყველასათვის ცნობილია. ჰოდა, ერთ-ერთი მათგანი გვარიან მადაზე მოსულა და ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელების სანაცვლოდ სოლიდური თანხა (50 ათასი დოლარი) მოუთხოვია, შედეგად ორივე ფეხბურთელი რუსეთის ავიახაზების კლიენტი გამხდარა.

საიუბილეო ჩემპიონატის წინ გუნდთან ერთად თემურ დიმიტრიშვილი და ჯაბა წიკლაურიც ემზადებოდნენ, თუმცა კლუბის მწირი ფინანსური ბიუჯეტის გამო ორივე მათგანი აზერბაიჯანულ „ტაუზში" აღმოჩნდა... გუშინწინ ტაუზელებმა „გორდას" რიგებში საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს მეორეჯგუფელ „ლარწყალთან", მასპინძლებმა „ფოლადზე" 3:1-ით გაიმარჯვეს. ორი გოლი წიკლაურმა გაიტანა, ერთიც მიხეილ სახვაძემ (სხვათაშორის, იგი ერთი კვირის წინ „მერანთან" ერთად ემზადებოდა).

„გორდას" მთავარი მწვრთნელის იასონ ალადაშვილის თქმით, სამივე ფეხბურთელი მეორე წრეს რუსთავში შეხვდება. თუმცა ეჭვი გვეპარება, ასე მოხდეს. სახვაძის „მერანში" გადასვლის საკითხი ისევ დღის წესრიგშია. რაც შეეხებათ ტაუზელებს, მათი საქმე უფრო რთულადაა. აზერბაიჯანულ კლუბთან მათ კვლავაც კონტრაქტი აკავშირებთ. კონტრაქტის გამოსყიდვას რომ თავი დავანებოთ („გორდა" და ფინანსები ერთობ მწყრალად არიან ერთმანეთთან), რუსთავში ამ ფეხბურთელების განათხოვრებაც ძნელია (ამ საქმესაც ფული სჭირდება), არც ის გვგონია, კილასონიას მსგავსად წიკლაურმა და დიმიტრიშვილმა საკუთარი ჯიბიდან შეძლონ საიჯარო თანხის გადახდა.

„ლარწყალთან" საკონტროლო მატჩში კიდევ ერთი რუსთაველი, მამუკა მელაძეც (იგი პირველ წრეში „გურიაში" თამაშობდა) მონაწილეობდა, მაგრამ გუნდში გამჩერებელი არც ის ჩანს, მასაც თვალი რუსეთისკენ უჭირავს და სტავროპოლის „დინამოში" გადასვლას ცდილობს.

ერთი სიტყვით, ასეა, კაცმა არ იცის, რა შემადგენლობით შეხვდება „გორდა" მეორე წრეს. სასიკეთო პირი გუნდს არ უჩანს. ორი დღის წინ კლუბის ხელმძღვანელობა ქალაქის მერს უნდა შეხვედროდა, თუმცა აქედანაც არაფერი გამოვიდა — მერაბ ტყეშელაშვილის ავადმყოფობის გამო შეხვედრა ხვალისთვის გადაიდო. ვითომ „ხვალიდანაც" გამოვა რამე? დალოცვილი მერი ახალ წელს ჯანმრთელად შეხვდა და „გორდასთვის" ხელის გამართვა აქამდეც შეეძლო. ისე, ბოროტი ენები ამბობენ, ქალაქის მერიიდან კლუბის ანგარიშზე შეპირებული თანხა (5000 ლარი) კარგახნის გადარიცხულიაო...

**ბაატა ძმანტალიანი**

# არმია უცხოეთში მეზადება

პირველი ჯგუფის გუნდებიდან თბილისის „არსენალმა" ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მზადება. არმიელები 15 დეკემბერს შეიკრიბნენ და ჯერ დარბაზში ვარჯიშობდნენ, ახალი წლის შემდეგ კი ავლაბარში, „ისნის" სტადიონზე განაგრძეს მზადება. იანვრის მეორე ნახევარში „არსენალი" ბულგარეთში აპირებდა ორკვირიანი შეკრების მოწყობას. ბულგარეთში მომზადება გუნდს ძალიან წაადგება, კარგი იქნება, თუ კლუბის ხელმძღვანელები იქ შეკრებას გაგვიხერხებენო, გვითხრა ამასწინანდელ ინტერვიუში მთავარმა მწვრთნელმა მამუკა გეგეჭკორმა. არმიელთა მესვეურების მონდომებამ შედეგი გამოიღო, რამდენიმე დღის წინ „არსენალი" ბულგარეთში გაემგზავრა. გეგეჭკორმათან გუნდის ახალწვეულებიც წაიყვანა — ცოტაძის, ირემაშვილის, მეტრეველის, აბაზაძისა და კვირკველიას „არსენალში" დარჩენა-არდარჩენის საკითხიც სწორედ ამ შეკრების შემდეგ გაირკვევა. გუნდს ვერ გაჰყვა ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი აკაკი კაკაშვილი, რომელსაც სასწავლებელში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, პრობლემები შექმნია და ამას დაუბრკოლებია.

**მანო ოქროპირიძე**

ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლევან ბერიშვილი, მსაჯებთან კამათს თუ შეეშვა, საწადელს აისრულებს

# ბერიშვილი მოზირში დაბრუნებას არ გამორიცხავს თუმცა სურვილი არც აქვს

*მარადი ჩემპიონი რომ სახეშეცვლილი ხვდება სეზონის განახლებას, მოგეხსენებათ. მურთაზ ხურცილავას ფაქტობრივად ახალი გუნდის შექმნამ მოუწია, პირველი წრის შემდეგ „დინამო" ხომ ნამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს. გუნდში ახლები კი მოვიდნენ, მაგრამ ყველაზე მეტად უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებულის ტრანსფერი გახმაურდა. ლეგიონერის უკან დაბრუნება ეროვნული ჩემპიონატის დონის ასამაღლებლად თავისთავად მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ... „დინამოს", ქართველი ფეხბურთელის გადაბირებაში 30 000 დოლარი ერთადერთხელ გადაუხდია. არა, ეს თანხა „დინამოს" ჯერაც არ გაუღია, მაგრამ, ჩანს აპირებს და თავად ეს ფაქტი მრავლისმეტყველია. სწორედ ამ თანხას ითხოვს ბელარუსის, მოზირის მპკც. მწვანეები გადაიხადეთ და საწინააღმდეგოც არაფერი გვაქვსო. ალბათ, მიხვდით, საქმე ლევან ბერიშვილს ეხება.*

*ბერიშვილი, სანამ მოზირში გაემგზავრებოდა, „შევარდენში" და „სამტრედიაში" თამაშობდა. ბელარუსში კი ისე გაითქვა სახელი, რომ ამ ქვეყნის საუკეთესო ლეგიონერად აღიარეს. ლევანს თანამემამულეებთანაც მოუწია დაპირისპირება, როდესაც მპკც „დინამოს" უეფას თასზე გაეჯიბრა. მაშინ ქართველ ლეგიონერს ტემპერამენტიან გულშემატკივრებთანაც მოუხდა შელაპარაკება. საბედნიეროდ, იგი შუღლში არ გადაზრდილა და არანაკლებტემპერამენტიანი ბერიშვილიც ისევ ქართველებმა, ოღონდ დინამოელებმა დაამშვიდეს (რა ვართ ეს ქართველები?!).*

*სანამ „დინამოს" ხელმძღვანელები ბელარუსებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ, ბერიშვილი ხურცილავას გუნდთან ერთად გულმოდგინედ ვარჯიშობს. თუმცა ისიც გავიგეთ, მოლაპარაკება როგორც არ უნდა დასრულდეს, ბერიშვილი „დინამოში" შეიძლება არც კი დარჩესო. ამის გასარკვევად ჯერ ხურცილავას მივმართეთ. მე არაფერი ვიცი, ეგ თავად მას ჰკითხეთო, გვითხრა.*

— ამის შესახებ პირველად მესმის. დიდი სურვილი მაქვს, „დინამოში" დავრჩე, წინააღმდეგი, რამდენადაც ვიცი, არც გუნდის ხელმძღვანელობაა.

**— შენი ყოფილი გუნდი მპკც, ტრანსფერში 30 000 დოლარს ითხოვს. „დინამოს" ჯერ არ გადაუხდია ეს თანხა. მანამდე რას იზამ. მოზირელები თანახმანი არიან ასეთ გარიგებაზე?**

— საქმე როგორ გადაწყდება, ჯერჯერობით არ ვიცი. ალბათ, მოზირელები პრობლემას არ შემიქმნიან და „დინამოში" თამაშიც შემეძლება.

**— ბელარუსში დაბრუნებას გამორიცხავ?**

— არა, თუკი ვერ შეთანხმდებიან და გადაწყდება, რომ „დინამოში" ვერ დავრჩები, მაშინ ისევ მოზირში დავბრუნდები, მით უმეტეს, წინააღმდეგნი არ არიან.

**— ესე იგი „დინამოში" გადმოსვლას მხოლოდ თანხის გადაუხდელობა აფერხებს?**

— კი, ასეა.

**— „დინამოსთან" რამდენწლიან კონტრაქტზეა ლაპარაკი?**

— ჯერ ამაზე არ ყოფილა ლაპარაკი, ტრანსფერი როცა შედგება და გადაწყდება, რომ „დინამოში" უნდა ვითამაშო, მაშინ მოვაწერ კონტრაქტს ხელს. რამდენწლიანს, ეს უკვე ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული.

**— გუნდთან კი ვარჯიშობ, მაგრამ თავად ხურცილავა კმაყოფილია შენი მომზადების დონით?**

— ალბათ, რადგან ასე რომ არ იყოს, ჩემს გუნდში აყვანაზე უარს იტყოდა.

**— თავად შენ რას ფიქრობ, მეორე წრისთვის მზად ხარ?**

— ბოლომდე არა, მოსამზადებელი ციკლი გრძელდება და, მგონი, სეზონისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები.

**— ლევან, შენს გარდა გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელია, ბიჭებთან შეგუება ხომ არ გაგიჭირდა?**

— გუნდი ახალი კი არის, მაგრამ ყველას ვიცნობ. ასე რომ, ამ მხრივ პრობლემა არ მქონია.

**— მეორე წრეში „დინამოს" ფაქტობრივად ყველა კონკურენტთან გასვლითი მატჩები ელის. ამ კონტინგენტით, რომელიც ახლა გუნდშია, „დინამო" შეინარჩუნებს ჩემპიონობას?**

— უნდა შევძლოთ. ეს ხომ წლეულს „დინამოს" მიზანია. გაგვიჭირდება, მაგრამ მჯერა, ჩემპიონები მაინც ჩვენ გავხდებით.

გიორგი ვაშაკიძე

# ლევან ცქიტიშვილი ჩივაძის ხელდასმული ბუ[...]დესლიგაში

ქართ[...]ლები გერმანულ ბუნდესლიგ[...]უშინაურდნენ, უფრო ზუსტად კი ბუნდესლიგურ „ფრაიბურგს". ეს უკვე რეალობაა, გერმანიაში სეზონის განახლებიდან ერთბაშად სამი ქართველი — ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი ითამაშებს.

ცხადზე ცხადია, ბუნდესლიგაში თამაში საძნელო, კარგად თამაში კი ერთბაშად საძნელოც და საამაყოცაა.

უძლიერეს გერმანელთა შორის პირველი ქართველი კახი ცხადაძე გახლდათ. პირველმა მან გადაიხადა ფრანკფურტის „აინტრახტთან" ერთად ბუნდესლიგური ბრძოლები და ჩემპიონობისლირსი საბოლოოდ მესამეობას დასჯერდა.

პირველი ქართული გოლი ბუნდესლიგაში „კიოლნში" მოთამაშე რევაზ არველაძემ გაიტანა. ეს იყო და ტყუპების უფროსი ძმა ბელგიურ „მეხელენში" გადაბარგდა, სერიოზულად დაშავებული ნაკრების კაპიტნის გუნდი კი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა. გერმანიის უძლიერესმა გუნდებმა კი პაექრობა უქართველებოდ განაგრძეს. და ასე იყო შარშანდლამდე, ვიდრე ბუნდესლიგის საგზური ალექსანდრე იაშვილისა და ლევან კობიაშვილის „ფრაიბურგმა" არ მოიპოვა და ევროპის მოწინავე ლიგას ორი ქართველი ერთბაშად არ დაუბრუნდა.

ლევან კობიაშვილი „ფრაიბურგს" დაგვიანებით, პირველი ოთხი ტურის შემდეგ შეუერთდა. მანამდე კი დავიწყების მტვრით გადაშლილი ქართული კვალი ხელახლა გაავლო ალექსანდრე იაშვილმა. და ახლა, ორი წრის გასაყარზე, იაშკა 6, ხოლო კობი ერთი საჯარიმო დარტყმით გატანილი გოლით იწონებს თავს. ქურთული ფეხბურთის იმედთა გარჯას ტყუილად არ ჩაუვლია. მეტადრე ალექსანდრე იაშვილის თამაშმა ქართულ ფეხბურთს სანაკრებო თუ საკლუბო წარუმატებლობებით შელახული პრესტიჟი არცთუ მცირედ აუმაღლა. ეტყობა, ამანვე აფიქრებინა და გადააწყვეტინა „ფრაიბურგს", პირველ ყოვლისა კი მის თავკაც ფოლკერ ფინკეს, გუნდის კიდევ ერთი ქართველით გაძლიერება.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ისიც ხომ უნდა ვთქვათ, რა კავშირია ამ ფოტოკომპოზიციას — „საქართველოს ოლიმპიური იმედი" და გერმანულ ბუნდესლიგას შორის. კავშირი, ცხადია, არსებობს და არა მხოლოდ ფეხბურთი, ანაც ალექსანდრე ჩივაძე, რომელსაც გერმანულ კლუბში თამაში მხოლოდ ბედის უკუღმართობით არ მოუხდა, არამედ თვით ლევან ცქიტიშვილი, თავად ჩივაძის ხელდასმული. ლევანის ცნობა ძნელი არ არის, საშა ჩივაძისგან ხელმარჯვნივ კი თავდახრილი მამუკა მესხია — უფროსი მიხეილ მესხის უმცროსი ვაჟი.

ლევანი და მამუკა თანაკლასელები იყვნენ 169-ე საშუალო და „ავაზას" საფეხბრთო სკოლაში: ამ ფოტოზეც თანაკლასელებთან ერთად არიან აღბეჭდილნი 10-12 წლის წინათ.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. საშა ჩივაძეს, ალბათ, არც გახსენებია ის დღე და ეს ფოტო მაშინ, როცა ლევან ცქიტიშვილი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მიიწვია და ათამაშა.

ბევრს, ალბათ, არა, მაგრამ ზოგს კი გაახსენდა, რომ ლევან ცქიტიშვილმაც თავისი საფეხბურთო ცხოვრება უფროსი კოლეგის მსგავსად დაიწყო. ჯერ ნახევარმცველი იყო, მერე კი ლიბეროდ ათამაშდა.

რა დაგვრჩენია, გარდა სურვილისა, რომ ლევან ცქიტიშვილმა თავის ხელდამსმელის მსგავსად ითამაშოს, რითაც გერმანიაში ქართულ ფეხბურთს ისევე გაუთქვამს სახელს, როგორც ეს კახი ცხადაძემ და ალექსანდრე იაშვილმა შეძლეს.

ვახტანგ ბზიკაძე




ფრაიბურგი: მესამე ქართველიც თავდაჯერებულია

# ფოლკერ ფინკე ცქიტიშვილს აქებს

„ფრაიბურგი" ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეორე წრისთვის პორტუგალიურ ალბუფეირაში ემზადებოდა. პირინეული შეკრება შაბათს დასრულდა. მზადების პროცესში დიდი ყურადღება ეთმობოდა ფიზიკური კონდიციის ამაღლებას. დილით ფეხბურთელები ზღვის სანაპიროზე ნახევარ საათს ვარჯიშობდნენ, რასაც ნაშუადღევს 90 წუთიანი დატვირთვა მოსდევდა. ერთი საათის განმავლობაში კი სხვადასხვა საფეხბურთო ელემენტებს ხვეწდნენ: მოკლე პასები, მოძრაობა, პრესინგი. ფინკეს თანაშემწე ახიმ ზარშტედტმა კი ტესტების საშუალებით ფეხბურთელთა მზადყოფნა შეამოწმა. პირველ საკონტროლო მატჩს „ფრაიბურგი" ხვალ, სამშაბათს, შვეიცარიის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგელ „არაუსთან" გამართავს. „ფრაიბურგი" მეორე შეკრებას პორტუგალიაში 3-დან 10 თებერვლამდე მოაწყობს. პირველი შეკრებისას ფრაიბურგელებს საკონტროლო თამაში არ ჩაუტარებიათ. „ახლა აზრი არა აქვს, ფეხბურთელები ძალიან გადაილლებიან" — ასე ხსნის გადაწყვეტილებას ფინკე.

ფინკეს უხარია, რომ გუნდში „მომავლის ფეხბურთელი", 22 წლის ლევან ცქიტიშვილი ჰყავს. „ფრაიბურგის" ახალწვეული საქართველოდანაა. იაშვილის მსგავსად ისიც თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა, რომელიც ქვეყნის უპირველესი გუნდია. ცქიტიშვილს ბრწყინვალე ტექნიკა აქვს, ისევე, როგორც დანარჩენ ორ ქართველს — იაშვილსა და კობიაშვილს.

*18 იანვრის* **Kicker**

# პირველი ჯგუფი. პირველი წრე:

საქართველოს ჩემპიონატი

# ...მეგობარს ჩახედე თვალებში

**რუსთავის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით „გორდას“ მთავარი მწვრთნელი იასონ ალადაშვილი ღირსების ორდენით დააჯილდოვეს. გიკვირთ, არა? მე კი ვფიქრობ, ცოტაა, ღმერთმანი. ფეხბურთელებმა რა დააშავეს? ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ფედერაციის სახელით რუსთაველ მოთამაშეებს ანა ფრანკის სახელობის მედლებით დავუმშვენებდი მკერდს. დიახ, იმ პირობებში, როგორშიც გორდელებს უხდებოდათ ბურთის გორება და ვარჯიშების ჩატარება, ფეხბურთის თამაში კი არა, მადლობელი ვიყოთ, ბიჭებმა ანა ფრანკის ოჯახის წევრთა ბედი რომ არ გაიზიარეს.**

**საქართველოში** რუსთავი სიდიდით მესამე ქალაქია. ინდუსტრიული ცენტრი იყო ერთდროს. ამ ქალაქის ხსენებისას ყოველთვის მეტალურგიულ ქარხანას წარმოვიდგენთ-ხოლმე თავისი ცათაბჯენების დარად აღმართული საკვამურებით. სწორედ ამ ქარხანას უკავშირდება რუსთავის დაბადება. მან შეყარა ამერ-იმერის მცხოვრებნი და ერთად მოუყარა თავი, გააცნო და დაამეგობრა ისინი. ჰოდა, იღებდნენ ფილმებს მათი ცხოვრების შესახებ, წერდნენ სიმღერებს მათ ურთიერთობაზე. ...და გიზგიზებდა ცეცხლი მარტენის ღუმელში, იფანტებოდა რუხი კვამლი რუსთავის ეთერში და დუღდა ცხოვრება ქალაქსა შინა...

ფეხბურთი? ოო, უნდა მომიტევოთ, ხომ ხედავთ, თავს ვარიდებ მასზე მსჯელობას, ძველ დროს მივსტირი რუსთაველებთან ერთად. წერილის სათაური იმ ცნობილი სიმღერიდან შევარჩიე, ოღონდ სულ სხვა კონტექსტში ავალილინე. დიახ, თვალებში ერთმანეთის შეხედვა სცხვენოდათ „გორდას“ გულშემატკივრებსა და ფეხბურთელბს. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა ეს გუნდი ამ ფიასკომდე, ტრაგედიამდე და ყველა თვალს ხუჭავდა. ეს იყო „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ რუსთავური კლუბისთვის. მოსახდენი უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. იმ დღეს ყველანაირი ტრადიცია დაიმსხვრა, კანონზომიერება კი დაცული იყო. ფულიანმა გადაუარა უფულოს, მაძღარმა გაათახსირა მშიერი. ხალხი? ხალხს ჯიგარი ეწვოდა, შემდეგ კი სიმწრის სიცილი აუვარდა. კიდევ კარგი, „ფოლადის“ ტაბლოზე ნათურები არ ციმციმებდა, თორემ იქ მასპინძლებისთვის გულის მომკვლელი ანგარიში 1:7 აკიაფდებოდა.

„გორდა“ — „ტორპედოს“ მატჩის შემდგომ რუსთაველი ფეხბურთელების ლიდერი ვარლამ კილასონია, გული და სული გუნდისა, ერთი საათის განმავლობაში გაუნძრევლად იჯდა სათადარიგოთა სკამზე და რაღაც წერტილს ჩასჩერებოდა თავდაღუნული. არ იყო იმ მომენტში სტადიონზე სულიერი არსება, ვისაც აზრად მოუვიდოდა, რაიმე ეთქვა მისთვის, თვალებში ჩაეხედა კილასონიასთვის. გინდაც თანაგრძნობის მზერით. ადვილი წარმოსადგენია, რას განიცდიდა ვარლამი იმ მომენტში, მის ფეხთ ქვეშ მიწაც იწვოდა, ალბათ. იჯდა გაუნძრევლად, თავჩაღუნული „გორდას“ კაპიტანი და წამიერად მოედნისკენ გაიხედავდა-ხოლმე. მოედანზე კი რუსთაველი ნორჩი ფეხბურთელები შეცვივდნენ სავარჯიშოდ. ნეტავ, ამათი ასაკის ვიყოო — გაიფიქრა, ალბათ, კილასონიამ და „გორდას“ წარსული გაახსენდა...



მიხეილ სახვაძის (მარცხნივ) „გორდამ“, დავით მუჯირის „დინამოს“ 0:0 აჯმარა

წარსული კი მართლაც სანაქებო ჰქონდა „გორდას“ და რუსთავის საფეხბურთო სკოლასაც. ეროვნული ჩემპიონატის პირველი და მესამე გათამაშებების ბრინჯაოს პრიზიორი, 1995 წლის თასის ფინალისტი. ერთ-ერთი მშვენება ქართული საკლუბო ფეხბურთის და სამჭედლო ნიჭიერი ფეხბურთელების თაობისა. ნიკა ტოგონიძე, კახი ცხადაძე, გოჩა ჯამარაული, ნუგზარ ლობჟანიძე, ლევან სილაგაძე, ძმები ტარიელ და ავთო კაპანაძეები, გიორგი და ვარლამ კილასონიები — ამათ თავიანთი სიტყვა ეთქმით თანამედროვე ქართულ ფეხბურთში. ამ თაობას გვერდს ვერავინ აუვლის და ვერც ზურგს შეაქცევენ.

დღეს? დღეს სულს ღაფავს მეტალურგთა ქალაქის ფეხბურთი. მეათე ეროვნულის მე-14 ტურმა მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მანამდე ენთუზიაზმით თამაშობდნენ ბიჭები, თავს ზემოთ ხტებოდნენ... მშიერი „გორდა“ ბედს არ ურიგდებოდა, გაჭირვებას არ ეპუებოდა და მონდომებით ირჯებოდა. განსაკუთრებით ლიდერებს უხვდებოდნენ მედგრად. ქულები აართვეს „დილას“, „კოლხეთს“, „ბათუმს“, „დინამოს“, შანსი არ დაუტოვეს „იბერიას“ და მე-14 ტურამდე მხოლოდ რვა ბურთი გაუშვეს.

„გორდას“ გოლკიპერი მამუკა ქორიძე პირველ წრეში მართლაც საუკეთესო იყო. დაცვითი ხაზიც თვალსაჩინო ჰყავდათ რუსთაველებს ალექსანდრე ბურნაძისა, მიხეილ სახვაძისა და პავლე ბექაურის მეთაურობით. ნახევარდაცვისა და თავდასხმის აქტიურობას კი კილასონია იღებდა თავის თავზე. ვარლამი ყოველთვის იშტაზე იყო, მისთვის წამიერი მოდუნებაც კი არ არსებობდა. დანარჩენებიც შეძლებისდაგვარად უბამდნენ მხარს და პირობების გაუმჯობესებას ელოდნენ.

ამაოდ! ამაოდ ელოდნენ ფეხბურთელები საქმის გამოსწორებას. არც თასის გათამაშებაში წარმატებულმა გამოსვლამ („სიონთან“ 0:0, 1:4) გაჭრა. ისევ ცრუ დაპირებები პრეზიდენტისა თუ ქალაქის მერიისგან. მეტალურგიულმა ქარხანამაც უმოწყალოდ გასწირა „გორდა“ და...

და დამყარდა მე-14 ტურში „ფოლადის“ სტადიონზე უამრავი რეკორდი, დიდი ანგარიშით წაგებისა თუ სტუმარი ფეხბურთელის მიერ ჰეთ-თრიკის შესრულებისა. ვერაფერმა განაწყო საბრძოლველად „ტორპედოს“ წინააღმდეგ გაწბილებული გორდელები, ათასგზის მოტყუებულნი. დააწყდათ ნერვები მეათე ეროვნულის ყველაზე კორექტულ ფეხბურთელებს და გაქცევაზე იწყეს ფიქრი.

გარბიან „გორდადან“ რუსთაველები, გარბიან სხვადასხვა კლუბებში და ვერანაირი სასწაული ველარ დააბრუნებთ უკან. წარმოიდგინეთ, ვარლამ კილასონიამაც უგანა მშობლიურ გუნდს და „ლოკომოტივში“ გადაბარგდა. არადა, „გორდაში“ მოხვედრისთვის კრასნოდარიდან მობრუნებულმა ვარლამმა საკუთარი ჯიბის ფული — 5 ათასი დოლარი გადაუხადა თავის ყოფილ კლუბ „ყუბანს“, რათა დახმარებოდა რუსთავს...

რუსთავი კი შერცხვა საქვეყნოდ. ცივად მოექცა თავის პირმშოს. გაჭირვებაში მიატოვა ბიჭები. ბიჭებს კი „გორდას“ სახელის გახსენებაც არ უნდათ. არ სურთ შერცხვენილებმა, თავდახრილებმა იარონ მშობლიური ქალაქის ქუჩებში. ისინი თავმოყვარენი არიან და უცხოა მათთვის თვალის არიდება. ისინი ელემენტარულ სითბოს და ალერსს ითხოვდნენ ქალაქისა თუ კლუბის მესვეურთაგან. გულგრილობას კი ბოლოს გულგრილობითვე უპასუხეს და...

სულს ღაფავს რუსთავის „გორდა“. მშველელი კი არ ჩანს. ასე თუ გაგრძელდა, კიდევ ერთ, ერთდროს მართლაც სანაქებო გუნდთან და საფეხბურთო სამჭედლოსთან მოგვიწევს გამოთხოვება.

**ხვიჩა სანიკიძე**

## გორდას შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | დილა | 1:1 | შინ |
| 2 | სამგურალი | 0:1 | სტუმრად |
| 3 | მერანი | 1:1 | სტუმრად |
| 4 | არსენალი | 0:1 | შინ |
| 5 | სიონი | 3:1 | შინ |
| 6 | თსუ | 0:0 | სტუმრად |
| 7 | კოლხეთი | 0:0 | შინ |
| 8 | ოდიში | 0:1 | სტუმრად |
| 9 | ბათუმი | 0:0 | შინ |
| 10 | ვიტ ჯორჯია | 1:2 | სტუმრად |
| 11 | დინამო | 0:0 | შინ |
| 12 | იბერია | 1:0 | შინ |
| 13 | ლოკომოტივი | 0:0 | სტუმრად |
| 14 | ტორპედო | 1:7 | შინ |
| 15 | გურია | 4:3 | სტუმრად |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| კახა ალადაშვილი | 15 | 1 | 1 | 0 |
| ალექსანდრე ბურნაძე | 15 | 0 | 2 | 0 |
| ვალერი ზირაქაძე | 15 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ სახვაძე | 15 | 2 | 0 | 0 |
| ნოდარ ტარტარაშვილი | 15 | 0 | 1 | 0 |
| ხვიჩა მჭედლიძე | 13 | 0 | 3 | 0 |
| პავლე ბექაური | 12 | 0 | 2 | 0 |
| ვარლამ კილასონია | 12 | 2 | 0 | 0 |
| მამუკა ქორიძე | 12 | -11 | 0 | 0 |
| ჯუმბერ ჩუხუა | 12 | 3 | 1 | 0 |
| ლაშა ალადაშვილი | 11 | 2 | 0 | 0 |
| მიხეილ გაბელაია | 7 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ ლაბაძე | 7 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი ხუციძე | 7 | 0 | 0 | 0 |
| ამირან კუდულაშვილი | 6 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჩიხელი | 6 | 0 | 0 | 0 |
| გრიგოლ ბედიაშვილი | 3 | -2 | 0 | 0 |
| დავით მენთეშაშვილი | 3 | 1 | 0 | 0 |
| – ქოიავა | 3 | 0 | 0 | 0 |
| შერმადინ კაპანაძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა სილაგაძე | 2 | 1 | 0 | 0 |
| – მებურიშვილი | 1 | -5 | 0 | 0 |

თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი





## 15 ტური

საქართველოს ჩემპიონატი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | 39 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | 35 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 34:25 | 27 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 9 | 0 | 18:6 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | 24 |
| დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 22 |
| იბერია | 15 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| მერანი | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | 17 |
| ოდიში | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | 14 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | 14 |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | 13 |
| გურია | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

## ქაიფია ამაღ ნაომი

*დინამო:* ამას რა აძინებს სპორტის სასახლის კიბეებზე?
*გურია:* რუსთავში რომ წავიდეს, ფული ხო უნდა.
*დინამო:* აა, ისევ ერთად ხართ?
*გურია:* გაჭირვებამ დაგვამეგობრა.
*გორდა:* ვიყავით ერთად, სხვა სიხარული არ გვინდოდა...
*დინამო:* რაო? შენ გიმღერის?
*გორდა:* უნდა ჩაგყლაპო, ჩემო სიცოცხლევ.
*დინამო:* დამეგობრებულით, არა?..
*გურია:* გეილაძე, ძმა, თუ არა რას იფიქრებს აი კაცი.
*გორდა:* რა სიზმარი შემაწყვეტინეთ?
*დინამო:* მაინც რას ხედავდი?
*გორდა:* პირდაპირ ჩემსკენ მოიზმანებოდა.
*გურია:* რავალი იყო?
*გორდა:* იფ, კაი გაპიტკინებული, წელში გამოყვანილი, ორ კვერცხიანი...
*დინამო:* გაგიჟდი, ტო?
*გორდა:* ეეჰ, ისეთი აჭარული ხაჭაპური იყო...
*გურია:* შენ მოგიკვდი მე, კიდე გშია?
*დინამო:* წამოდით, კაფეში გეპატიჟებით.
*გურია:* აი, ვეტერინარი არაა?
*ვიტ ჯორჯია:* მიირთვით ამერიკული კვები მაქვს, ღეჭვის დროს შენს მომავალს უყურებ.
*გორდა:* ვხედავ, ვხედავ.
*დინამო:* რას ხედავ.
*გორდა:* მაგარ სუფრაზე ვიჩითები.
*გურია:* არ მომკლა ამისმა სუფრებმა.
*გორდა:* მოიცა! მწვანე მინდორზე ვარ.
*ვიტ ჯორჯია:* მერე?
*გორდა:* ნახე, რა შემადგენლობა მყავს.
*ვიტ ჯორჯია:* მაინც?
*გორდა:* პალიუკა, ნესტა, იერო, პაოლო...
*ვიტ ჯორჯია:* რომელი პაოლო?
*გორდა:* უი, ეს პაოლო კი არა პავლე ბექაურია.
*ვიტ ჯორჯია:* ვერ ხვდები, მაგ კევს გემო რომ გაუვიდა, გადააგდე.
*დინამო:* ლიგაში ვარ, ტო!
*გურია:* ისე დაგიმშვენდა ცხვირი.
*გორდა:* ბელგიის მესამე ლიგაში აერია, ალბათ.
*ვიტ ჯორჯია:* ქუთაისელი მირეკავს მობილურზე უცხოეთიდან, რუსთაველი მალაპარაკეო.
*გორდა:* ავსტრალიაში ხარ?
*ტორპედო:* არა, ანთალიაში.
*გორდა:* ჩოგბურთის ტურნირი ხო ავსტრალიაშია.
*ტორპედო:* ფეხბურთი და ჩოგბურთი აგერია.
*გორდა:* დამცინი, არა? იცოდე, ძმრად ამოგადენ იმ 7:1-ს.
*ტორპედო:* ჭკუით იყავი, თორემ...
*გორდა:* თორემ რა?
*ტორპედო:* რა და კალათბურთად მოგალანდებ ფეხბურთს.
*გორდა:* მაგასაც ვნახავთ.
*დინამო:* რაო, რა გითხრა?
*გორდა:* „გალათასარაისთვის“ მოუგია 6:0.
*დინამო:* ეტყობა, ისიც კევს ღეჭდა.
*ვიტ ჯორჯია:* აკი მითხრეს, ამერიკულიაო?
*გურია:* მასეთები გუცაევს ჰქონდა ჩამოტანილი და ფედერაციაში დაარიგა.
*ვიტ ჯორჯია:* მერე?
*გურია:* გუშინ დავრეკე და ასე მითხრეს, ნაკრებს ნაიკი ჩააცმევსო.
*გორდა:* კიდევ რაო?
*გურია:* დედოფლის თასის გათამაშებაზე გვიწვევენო შოტლანდიაში.
*გორდა:* ჰმ, ისევ ლანდები...

# რუსთავის «გორდა». XI ადგილი

## არც პერსპექტივა, აღარც...

მერამდენე წელია, ამაზე გვიხდება წერა. პრობლემები, პრობლემები, გაუთავებელი პრობლემები. საშველი არსაიდან ჩანს, არც რუსთაველთა გუნდით უნდა იყოს ვინმე დაინტერესებული. მავანი კეთილი ადამიანი გამოჩნდება, ორ თვეს გუნდს ყურადღებას მიაქცევს, მერე კი მასაც მობეზრდება და ისევ თავიდან იწყება. ისევ პრობბლემები. არადა, ხომ ყველამ იცით, „გორდა“ რა გუნდიცაა, რამხელა ტრადიციების გუნდი. მათ მწვრთნელზე იასონ ალადაშვილზეც რა გვეთქმის. გუშინ ლხინის დროსაც გუნდში იყო და ახლაც, დიდი გაჭირვების ჟამსაც.

**— ბატონო იასონ, პრობლემებზე ბოლოს ვთქვათ. დავიწყოთ თამაშის ხარისხით. კმაყოფილი ბრძანდებით?**

— მაქვს კი უკმაყოფილების საბაბი? ბიჭებთან საპრეტენზიო ვის რა უნდა ჰქონდეს? დარწმუნებული ვარ, ოდნავ ნორმალური პირობები რომ შეექმნათ ჩვენთვის, ხუთეულში მოვხვდებოდით. ძნელია, ერთობ ძნელი, როცა იცი, წააგებ თუ მოიგებ, ხეირი არაფერი გექნება. ვერც მწვრთნელები მოსთხოვენ ფეხბურთელებს მოსათხოვს.

**— ხუთეულიო, ახსენეთ. გყავდათ კი ფეხბურთელები საამისოდ მომზადებული?**

— როგორ არა. ვარლამ კილასონია „გორდაში“ არ თამაშობდა? იგივე მამუკა ქორიძე, დაცვის ბურჯი სანდრო ბურნაძე, ჩემი ვაჟი კახა ალადაშვილი ავილოთ. რომელია სხვაზე ნაკლებლი ფეხბურთელი. ერთი „ტორპედოსთან“ შევრცხვით, თორემ სხვა თამაშს ვერ გეტყვით, ჩვენებს ვინმესთვის მნიშვნელოვნად დაეთმოთ. „გორდა“ ისეთი ბიჭებითაა დაკომპლექტებული, რომ მათზე არავინ იტყოდა უარს. სამწუხაროდ, პირობების უქონლობის გამო თავიანთ პოტენციას ბოლომდე ვერ ავლენენ.

**— რგოლებიდან რომელს გამოარჩევთ?**

— უდავოდ დაცვასა და მეკარეს. დაცვაში ბურნაძე ყოჩაღობდა, კარში კი ქორიძე. თუ „ტორპედოსგან“ მიღებულ შვიდ გოლს არ გავითვალისწინებთ, წრეს ნორმალური სხვაობით ჩავამთავრებდით. ჩვენნაირი პირობების გუნდისთვის 15 თამაშში 11 გაშვებული ბურთი ურიგო არ იქნებოდა.

**— თავდასხმამ ვერ დაგაკმაყოფილათ?**

— ხომ გითხარით, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არა მაქვს. ყველას ვემადლიერები. თუმცა, მაინც აღვნიშნავ, რომ თავდამსხმელებს მეტი შეეძლოთ. ბოლო მატჩებში ჩუხუას დასვენება მოგვიხდა, რადგანაც მას გზის ფული არ ჰქონდა და ვარჯიშებს ხშირად აცდენდა. ამიტომაც კილასონიას ჩემი ვაჟი შევუწყვილე. ესენი კი, სანამ ერთმანეთს შეეწყვნენ, წრეც დამთავრდა. აკი ვარლამიც ამბობდა, ჩემთვის ორი გოლი ზღვაში წვეთიაო.

**— ყველაზე უკეთ რომელ გუნდთან ითამაშეთ?**

— საკამათო არ უნდა იყოს — „დინამოსთან“, „ბათუმთან“, „კოლხეთთან“ და „ლოკომოტივთან“ სტუმრად. ეგ კი არა, რკინიგზელები ბედად გადაგვირჩნენ, ბოლო წუთზე რეალური მომენტი რომ გამოგვეყენებინა, უეჭველი მოვიგებდით. ისე, ისიც ხომ ფაქტია, რომ „ტორპედოს“ გარდა ლიდერებთან არ წაგვიგია.

**— ქუთაისელებთან მარცხი ავადსახსენებელი იქნება.**



იასონ ალადაშვილი

— რაც უნდა იყოს, დიდი ანგარიშით წაგება მეტად საწყენია. უბრალოდ, „ტორპედო“ ის გუნდი არ გახლდათ, „გორდა“ რომ ექვსბურთიანი სხვაობით დაემარცხებინა. იქ კილასონია შეიქნა შესვენებაზე შეუძლოდ, ქორიძემ ვერ ითამაშა, გუნდი საერთოდ არ აპირებდა მატჩზე გასვლას... მაგრამ ვიმეორებ, ასეთი ანგარიშით არ უნდა წაგვეგო.

**— ლანჩხუთში რა მოხდა? ამბობენ, „გურიამ“ „გორდას“ სამი ქულა აჩუქაო.**

— გურულები სათამაშოდ არ გამოდიოდნენ. ჩვენ კი მოთელვა დამთავრებული გვქონდა. ოქმიც შევსებული. ბიჭებმა შხაპი მიიღეს და სამოსიც ჩანთებში ჩაალაგეს. ამ დროს გასახდელში გურული გულშემატკივრები შემოვიდნენ, ძალიან გთხოვთ, ითამაშეთ, მართალია, ჩვენებმა დააგვიანეს, მაგრამ თამაში რომ ჩაიშალოს, ჩემპიონატიდან მოგვკვეთენო. უკვე ავტობუსში ჩავსხედით და რუსთავს მოვემგზავრებოდით, რომ მათ ერთხელაც გვთხოვეს. ჩვენც დავთანხმდით. დაწყებამდე თვითონვე შემოგვთავაზეს — ფრედ დავასრულოთ მატჩიო. ეგ საქმე არ გამოვა-მეთქი, ვუთხარი, რადგანაც შევნიშნე, რომ გურულებს ცხრა კაცზე მეტი ვერ მოეგროვებინათ და მოგება შეიძლებოდა. ვითამაშეთ და მოვიგეთ. მერე კი ხალხში ხმა დაირხა, „გურიამ“ რუსთაველებს შეგნებულად დაუთმოო. გეკითხებით, ცხრა კაცისმომგები არ ვიყავით?

**— პირველი წრის შემდეგ რომელმა გუნდმა დატოვა კარგი შთაბეჭდილება?**

— „დინამომ“, როგორც ყოველთვის, „ბათუმმა“ და „ლოკომოტივმა“.

**— საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?**

— დინამოელი დავით მუჯირი.

**— ამ არდადეგებზე „გორდა“ რამდენმა ფეხბურთელმა დატოვა?**

— წავიდა ვარლამ კილასონია, რუსეთში მოგზაურობს სანდრო ბურნაძე, თუმცა შესაძლოა უკანვე დაბრუნდეს. ჩემმა უფროსმა ვაჟმა კახამაც მიგვატოვა. მართალია, ჩემი შვილია, მაგრამ უკეთესი პირობები შესთავაზეს და მინსკს მიაშურა.

**— პრობლემებსაც მივადექით. გეშველებათ რამე?**

— არც კი ვიცი,რა გიპასუხოთ. გუნდი დაშლის პირასაა. ორი წელია, 10 ლარზე მეტი არ მიმიღია. მხოლოდ ერთხელ მომცეს ხელფასი. ბიჭებიც ასეთ დღეში არიან. მე რა ვილონო? ეგ ხელმძღვანელების საქმეა. იასონ ალადაშვილი მწვრთნელია და მოგება უნდა მოითხოვოს. სხვა არაფერი. მე წავიდე, მე ვიშოვო ფული? ყველაზე საწყენი ისაა,რომ პერსპექტივაც არ ჩანს. გუშინ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარეს შევხვდი, გუნდს მიხედეთ-მეთქი, ნაღვლიანად ვუთხარი, მან კი ზეგისთვის დამიბარა, რადგანაც ქალაქის მერი ორი დღეა, სამსახურში არ ყოფილა. სწორედ უახლოეს ორ დღეში უნდა გაირკვეს ყველაფერი. ან დავიშლებით, ანაც მოვღონიერდებით. ჩვენ მხოლოდ ერთი შეღავათი გვაქვს — ყველა ფეხბურთელი ადგილობრივია და დიდ თანხას არავინ ითხოვს. 32 წელია, გუნდში ვარ. ამ ბოლოდროინდელი პრობლემების მსგავსი კი ცხოვრებაში არ მქონია. როგორია, ორი წლის მანძილზე 10 ლარს რომ მიიღებ. რომ მკითხეთ, ხარისხით კმაყოფილი თუ ხართო, იცით, უფრო კმაყოფილი მაშინ ვიქნებოდი, უფროსებს გუნდისთვის ერთი შეკრება გაეხერხებინათ. აბა, ნახეთ, ახლა რა ხდება. თამაშის წინა დღეს ყველა ფეხბურთელი ღამეს სახლში რომ გაათევს, საიდან გავიგო, იგი შინ რას აკეთებს. ეგებ ნათესავი ესტუმრა და კარგად მოულხინა, ხომ უნდა ვიცოდე? ჩვენ მხოლოდ არსებისთვის საჭირო მინიმალურ თანხას მოვითხოვთ. სირცხვილი არაა, თბილისს ექვსი გუნდი ჰყავდეს, ყურისძირში მდებარე რუსთავს კი არც ერთი?

**— საკრებულოს თავმჯდომარემ რომ გითხრათ, ფული არ გვაქვსო?**

— მაშინ დავიხურავ ქუდს და წავალ. გუნდი დაიშლება.

კობა ინასარიძე

# აწი თამაშს ველარ ვისწავლი

*აბა, რა დიდი ტვინის ჭყლეტა ამას სჭირდებოდა? რუსთავის „გორდაზე“ რომ მიდგა საქმე, გამოსარჩევიც უმალ გამოირჩა. სხვა აზრი არც გვქონია. ასაკით, პროფესიონალიზმით, ოსტატობით, თუ გნებავთ, რუსეთში დამყარებული რეკორდითაც — „გორდას“ კაპიტანი ვარლამ კილასონია უეჭველად იმსახურებს თანაკლუბელთა შორის პირველობას.*

*რაც შეეხება რუსეთის რეკორდს, თუ გაიხსენებთ იმ დროს, როცა ვარლამი სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივ-სატურნში“ თამაშობდა, მაშინ ისიც მოგაგონდებათ, რომ ერთ მატჩში მან შვიდი გოლი გაიტანა.*

**— ტრადიციულად დავიწყოთ. ჩემპიონატის პირველ წრეში „გორდას“ მეტის მიღწევა თუ შეეძლო?**

— ბევრად უკეთ შეგვეძლო თამაში. შესაბამისად, უკეთესი ადგილის დაკავებაც, მაგრამ იმ პირობების გათვალისწინებით, როგორიც „გორდას“ ჰქონდა, კიდევ კარგად ვთამაშობდით. უბრალოდ, არავის აქვს მორალური უფლება, ფეხბურთელების ან მწვრთნელების მიმართ პრეტენზია გამოთქვას. უფულობისა და ულუკმაპურობის დროს გუნდისგან მეტი არაფერი იყო მოსალოდნელი.

**— პერსპექტივა თუ ჩანს?**

— ნელ-ნელა ვრწმუნდები, რომ „გორდას“ მეორე წრეში მეტად გაუჭირდება. დაპირებებით, ალბათ, ფეხბურთელებს ველარ დააკავებენ. ისინი სხვა გუნდებში მიმოიფანტებიან და თუ დროზე არ მიხედეს, შეიძლება ისეც მოხდეს, „გორდამ“ ჩემპიონატი ვერ გააგრძელოს.

**— ახლა საკუთარ თავზე გვითხარი.**

— შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოვავლინე. უფრო მეტი შემეძლო. ვთვლი, რომ საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში გატანილი ორი გოლი ჩემთვის ძალიან ცოტაა, იმის მიუხედავადაც კი, რომ თავდასხმაში, ფაქტობრივად, არ მითამაშია. მუდამ თამაშის ორგანიზაცია მევალებოდა. მოკლედ, ყველა პოზიციაზე ვყოფილვარ, გარდა თავდასხმისა. და მაინც, უფრო უნდა მეყოჩაღა. ისე, ფსიქოლოგიურ გავლენასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. თამაშების წინ ვარჯიშებზე პარტნიორების დაღონებულ სახეებს როცა ვხედავდი, ეს ჩემზეც მოქმედებდა. შესაძლებლობების ბოლომდე წარმოჩენის სურვილი მეკარგებოდა. ძნელიც კია, პარტნიორებისა არ გესმოდეს. როგორია, რამდენიმე თვე უფულოდ, ენთუზიაზმით თამაში?

**— რუსეთიდან რატომ დაბრუნდი?**

— კრასნოდარის „ყუბანში“ საკონტრაქტო პირობებს არ ასრულებდნენ. არადა, როცა რუსებმა „დნეპრისგან“ მიყიდეს, ყველაფერი კარგად მიდიოდა. აი, სეზონი დაიწყო თუ არა, გუნდს მეტად გაუჭირდა. „ყუბანს“ ყველა მოთამაშის ვალი დაედო. მეც ავდექი და კონტრაქტის დარღვევა ვცადე. თუმცა, ფაქტობრივად, მოგებული საქმე კლუბს დავუთმე. ისევ ჩემი ადამიანური თვისებების გამო. რაც „ყუბანმა“ „დნეპრს“ გადაუხადა, წყალში გადაყრილი გამოდიოდა. ამიტომაც ხელმძღვანელებს ვთხოვე, ოთხი-ხუთი თვით საქართველოში წავალ და თუ მეორე სეზონიდან ფინანსურ მდგომარეობას გამოასწორებთ, უკანვე დავბრუნდები-მეთქი. ეს დრო კი ჩემი პირადი საქმეების მოსაგვარებლად მჭირდებოდა. თანაც საქართველო მომენატრა.



ვარლამ კილასონიას „გორდასთან“ განშორება კი უჭირს, მაგრამ...

**— აქ თამაშით ბევრი დაკარგე?**

— მაინცდამაინც არა, რადგანაც თამაშს აწი ველარ ვისწავლი. ასე თავად მსურდა, ამიტომაც საქართველოში დაბრუნებას არ ვნანობ.

**— მართალია, თითქოს „ყუბანიდან“ განათხოვრების ფული „გორდას“ ნაცვლად შენ გადაიხადე?**

— მაპატიეთ, მაგრამ ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. არ მსურს. სხვაზე ვისაუბროთ.

**— გავიგეთ, მეორე წრიდან სხვა გუნდში აპირებ გადასვლას.**

— ყველა დაინტერესებულ კლუბს ჯერ კრასნოდარის „ყუბანთან“ მოუწევს საქმის დაჭერა. ის ოთხი-ხუთი თვე უკვე გასულია, ახლა ხელმეორედაა ფული გადასახდელი.

**— ქართულ გუნდებს ისედაც უჭირთ და რამდენად რეალურად მიგაჩნია, რომ შენს სანაცვლოდ „ყუბანს“ ფულს გადაუხდიან?**

— მიუხედავად იმისა, რომ „ყუბანი“ მხოლოდ 40 ათას დოლარს ითხოვს, დღეს საქართველოში ისეთი გაჭირვებაა, მეეჭვება, ვინმემ ამდენი ფული იშოვნოს და გამომისყიდოს. ყველაზე რეალური, ალბათ, ისევ არენდაა.

**— მოდი, „გორდას“ მივუბრუნდეთ. პარტნიორებიდან ვისთან გიადვილდებოდა საერთო ენის გამონახვა? შენ რომ თამაში დაიწყე, ისინი სკოლებში სწავლობდნენ. ძალიან ახალგაზრდები არიან და მათთან შეთამაშება პრობლემა ხომ არ ყოფილა?**

— გული მწყდება, ბოლო წლებში რუსთავში ერთი ნორმალური გუნდის გაკეთება რომ უშველებელ პრობლემად იქცა. არადა, ალბათ, დამეთანხმებით, ისეთი საფეხბურთო სკოლებით, როგორიც რუსთავშია, ბევრი ვერ დაიტრაბახებს. რომელ ქალაქს ჰყავს მურმან გოგოლაძის დარი სპეციალისტი? მაგრამ რად გინდა, საშველი არ ჩანს. რუსეთში ყოფნისას ხშირად ვკითხულობდი „სარბიელს“ და გული მიკვდებოდა, ჩემი მშობლიური ქალაქის გუნდის გაჭირვებაზე რომ გიხდებოდათ წერა. რაც შეეხება პარტნიორებს, ვერავის გვარს ვერ დავასახელებ. უბრალოდ, გეტყვი, რომ ყველა უდავოდ პერსპექტიული ბიჭია. ქუთაისის „ტორპედოსთან“ თამაშის გარდა მატჩი არ იყო, უბრძოლველად დაეთმოთ.

**— „ტორპედო“ ახსენე და მეტოქეებიდან ვის გამოყოფდი?**

— სწორედ გამიგეთ, ქუთათურთა შესაძლებლობებს ოდნავადაც არ ვაკნინებ, მაგრამ მათთან შინ დიდი ანგარიშით მარცხი ისევ და ისევ ჩვენი ბრალი იყო. იმ მატჩში მინდორზე გასვლას საერთოდ არ აპირებდნენ ბიჭები. ამიტომაც წავაგეთ. „ტორპედოსთან“ ჩვენ ფეხბურთი არ გვითამაშია, ამიტომაც მათ ძალაზე ვერაფერს გეტყვით. სხვათაგან კი „ბათუმი“ და „ლოკომოტივი“ მომეწონა.

**— ერთსაც გკითხავ, შენს ძმაზე. გიას ამბავი როგორაა?**

— ეჰ, დარწმუნებული ვარ, გიაც რომ „გორდაში“ ყოფილიყო, ყველაზე ცოტა 10 ქულას კიდევ შევმატებდით აქტივს. მასთან თამაში მეტად მიადვილდება. იმედია, მეორე წრიდან ისევ ერთად ვიქნებით. მით უმეტეს, რომ ჩემი ძმა თავისუფალი აგენტია.

ეს ინტერვიუ ოდნავ ადრეა ჩაწერილი. მანამ, სანამ ცხადი გახდებოდა, რომ ძმები თბილისის „ლოკომოტივთან“ ერთად ივარჯიშებდნენ.

კობა ინასარიძე

# ჯორკაეფის ორმოცდამეათე და მეოცე

ამხანაგური მატჩი

**საფრანგეთი 1:0 მაროკო**

1:0 ჟორკაეფი (49)

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი (ლებეფი 46), დესაი, კანდელა, დეშამპი (ბეტი 46), ბოგოსიანი, ზიდანი (ანელკა 67), ჟორკაეფი, დიუგარი (პირესი 46), მორისი

მაროკო: ბენზეკრი, საბერი, როსი (აბრამი 46), ნაიბეტი, ჰაზრიუი, ჩიბა, ჩიპო (სელამი 78), ლახლეი, ჰაჯი, ჰადა (როკი 82), ბასირი

„ვფიქრობ, მაყურებელი ჩვენგან მეტს ელოდა, თუმც ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია" — მაროკოსთან მინიმალური უპირატესობით მოგებამ მსოფლიო ჩემპიონების თავკაცი როჟე ლემერი სანახევროდ დააკმაყოფილა. წლეულს თავიანთ პირველ მატჩში ფრანგები ხან ბრწყინვალედ თამაშობდნენ, ხან კი არაკონცენტრირებულების და ზედმეტად თავდაჯერებულების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. საწყისი ოცი წუთი მათ მშვენივრად ჩაატარეს და შეეძლოთ, რამდენიმე ბურთითაც დაწინაურებულიყვნენ. მალე მაროკოელებმაც გამოიღეს ხელი და თამაში ნელ-ნელა გაათანაბრეს. მეორე ტაიმში ტერიტორიული უპირატესობა მთლიანად მასპინძელთა მხარეს იყო, მაგრამ აქ ისევ იჩინა თავი მათმა მთავარმა ნაკლმა — „ლურჯებს" კარგი თავდამსხმელები ჰყავთ, თუმცა მაღალი კლასის ცენტრფორვარდობამდე ფლორიან მორისსაც ბევრი უკლია და ნიკოლა ანელკასაც.

როგორც მოსალოდნელი იყო, საფრანგეთს საკმაო პრობლემები შეუქმნა დაცვაში კარგად მოთამაშე და სწრაფი კონტრშეტევების იმედზე მყოფმა მაროკომ. მატჩის დასაწყისში დიდიე დეშამპს და მორისს ჰქონდათ გოლის გატანის მშვენიერი შესაძლებლობები, მაგრამ ვერ გამოიყენეს. „ჩვეულებრივზე ოდნავ უარესად ვითამაშეთ. დღევანდელი შეცდომების გამოსასწორებლად ვიმუშავებთ და ინგლისთან უკეთ გამოვალთ" — უკვე უემბლიზე 10 თებერვლის მატჩზე ფიქრობდა „იუვენტუსის" ნახევარმცველი დეშამპი. ინგლისამდე ჯერ ადრეა, გუშინწინ კი მაროკოელებს ცოტა დააკლდათ ფრემდე, რაც მთელს აფრიკაში და არამარტო იქ, დიდ მიღწევად ჩაითვლებოდა. „მეტის გაკეთება შეგვეძლო. ჯორკაეფის გოლამდე კი ბურთმა მოედნის ფარგლები დატოვა" — სინანულით თქვა მაროკოელთა ფრანგმა მწვრთნელმა ანრი მიშელმა. თუმცა „ველოდრომზე" 50.000 მაყურებლის თვალწინ იმ გუნდთან, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილია 3:0 გაანადგურა, 0:1 დამარცხება კარგი თუ არა, საპატიო შედეგი ნამდვილადაა.

მე-3 წუთზე ჰადამ ჩააწოდა ბარტეზის საჯარიმოში, მაგრამ შიბას გაუცუდდა; მე-4 წუთზე ჯორკაეფის მიერ მოწოდებულ კუთხურზე ბოგოსიანმა აჯობა ყველას, მისი თავური კი მიზანს ასცდა; მე-6 წუთზე ბლანს მისთვის უჩვეულო შეცდომა მოუვიდა ბურთის ამოტანისას და ბასირმა კინაღამ ანგარიში გახსნა; მე-10 წუთზე ზიდანის ლამაზი პასის მერე დეშამპს ჰქონდა თავის გამოჩენის შესაძლებლობა; მე-11 წუთზე მორისი გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ მას ბენზეკრიმ აჯობა; მე-17 წუთზე ზიდანმა სცადა ბედი დაახლოებით ოცი მეტრიდან, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი მაროკოელთა კარს ასცდა; 47-ე წუთზე პირესმა ჯორკაეფს მიაწოდა, რომლის დარტყმაც ბენზეკრიმ აიღო; 49-ე წუთზე პირესი მარჯვნიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში. მისი ჩაწოდების მერე ბურთი თითქოს გადავიდა, საბოლოოდ კი ცარიელ კარში შეაგდო ჯორკაეფმა, ვისთვისაც ეს 50-ე მატჩი იყო საფრანგეთის ნაკრებში, ხოლო გოლი მეოცე აღმოჩნდა; 61-ე წუთზე მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან ჯორკაეფმა ზიდანს მიაწოდა, ზიდანის დარტყმის მერე ბურთი ჩიპოს მოხვდა. პირესმა დაამატა, მაგრამ კვლავ მეკარემ იყოჩაღა; 75-ე წუთზე ჯორკაეფის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი მაროკოელთა კარის ზედა ძელს მოხვდა; 79-ე წუთზე კანდელას პასი ანელკამ კარგად ვერ გამოიყენა, მისი დარტყმული კუთხურზე მოიგერიეს.

დაახლოებით ეს იყო მატჩის ყველაზე მწვავე მომენტები. მეტოქეების ტაქტიკაზე კი შემდეგის თქმა შეიძლება: მსოფლიოს ჩემპიონები 4-3-3 სქემით თამაშობდნენ, რომელიც დაცვისას ხშირად 4-5-1-ად გარდაიქმნებოდა (წინ მარტო მორისი რჩებოდა) ხოლმე; ანრი მიშელმა კი თავისიანები 4-4-2 სისტემით ათამაშა; მასპინძელთაგან ყველაზე უკეთ მარსელელი რობერ პირესი და ინტერელი იური ჯორკაეფი გამოიყურებოდნენ, სტუმრებში კი აღნიშვნის ღირსი მათი ცენტრალური მცველი ნაიბეტია, რომელმაც მთელი შეხვედრა მართლაც ჩინებულად ჩაატარა.

ამ გამარჯვებით ფრანგებმა თავიანთი წაუგებელი სერია თექვსმეტ მატჩამდე გაზარდეს. მათ უკანასკნელი მარცხი შარშან რუსებთან იწვნიეს (0:1). ძნელი სათქმელია, შეძლებენ კი ისინი წარმატების მიღწევას [illegible] ლომაც. სხვათა შორის, უემბლიზე ინგლისის წინააღმდეგ მათ არასოდეს მოუგიათ. ინგლისის მერე კი სომხეთი და უკრაინა მოდიან. თუ კავკასიელებთან მატჩი განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევს, აი, საფრანგეთი-უკრაინა კი შეიძლება გადამწყვეტიც აღმოჩნდეს ევრო 2000-ის საგზურისთვის ბრძოლაში. სწორედ ამ მომავალი დაპირისპირებით აქვს გონება დაკავებული „ოქროს ბურთის" შარშანდელ ლაურეატ ზინედინ ზიდანს: „რა თქმა უნდა, დღეს ყველაფერი უმაღლეს დონეზე არ ყოფილა, მაგრამ მთელი თამაში კონცენტრირებულნი ვიყავით და მეორე ტაიმში ჩვენმა თავდამსხმელებმა ბევრი კარგი რამ გააკეთეს. ვფიქრობ, მარტში უკრაინის დასახვედრად ყოველნაირად მზად ვიქნებით: ის მატჩი ნებისმიერ ფასად უნდა მოვიგოთ, თუ ევროპის ჩემპიონატზე გასვლა გვინდა".



საფრანგეთი — მაროკო 1:0. სტუმრების კარს ერთადერთი გოლის გამტანი იური ჯორკაეფი უტევს. ხელს კი მას მაროკოელი აბდელილაჰ საბერი უშლის

ალბათ, ემე ჟაკეს მიერ შექმნილი ბრწყინვალე გუნდი ბელგია-ჰოლანდიის საგზურს [illegible] დაეუფლება, სწორედ ჟაკეს გუნდი და არა ლემერისა და ამას არც თვითონ „ლურჯების" ახალი მწვრთნელი უარყოფს: „ჯერჯერობით ემეს აგებულ დიდებულ სახლში არაფერი გამიტეხავს, მე უბრალოდ ამ სახლის მოვლა მევალება" — ჯუმრობს როჟე ლემერი.

ოთხშაბათსვე, მარტიგში გაიმართა საფრანგეთისა და მაროკოს ახალგაზრდულ ნაკრ[illegible]ა მატჩი, რომელიც ფრედ 2:2 დამთავრდა. მასპინძელთაგან თავი მორეირამ (პენალტით) და მაულიდამ გამოიჩინეს, სტუმართაგან კი — საადმა და [illegible]უალიმ (ორივემ პენალტით).

დაბოლოს, სამშაბათს ერთმანეთს საფრანგეთისა და ხორვატიის B ნაკრებები შეხვდნენ. პიერ ლეგლისა და ფრედერიკ ნეს გოლების წყალობით გამარჯვება ფრანგებს დარჩათ — 2:0.

**გაიოზ თალაკვაძე**

## ესპანეთი

თასის IV ეტაპის პირველი მატჩები

**ბილბაო 2:2 რასინგი**

1:0 ეჩებერია (45), 1:1 არსენო (49), 1:2 მუნიტისი (64), 2:2 გერერო (90)

გაძევება: რუისი (რასინგი 72)

**ბენიდორმი (III) 0:1 ბარსელონა**

0:1 რონალდ დე ბური (88)

**ლევანტე (III) 0:3 ვალენსია**

0:1, 0:2 ნავარო (5, 64), 0:3 მენდიეტა (86)

**სოსიედადი 1:2 ატლეტიკო**

0:1 ხოსე მარი (25), 0:2 კორეა (55), 1:2 მოლინა (62 ს.კ.)

**რეალი — ვილიარეალი**

*გუშინ გვიან გაიმართა*



ბეტისი — მალიორკა 0:1. მასპინძელი დენილსონის დარტყმულს მალიორკელი გუსტავო სივიერო გადაეღობა

**ესპანიოლი 4:2 ვალიადოლიდი**

1:0 პოსე (15), 2:0 პარალო (20), 3:0 ბენიტესი (63), 3:1 ემილიო (79), 4:1 გონსალესი (85), 4:2 ალბერტო (90)

**ბეტისი 0:1 მალიორკა**

0:1 კარლოსი (65)

**სელტა 0:1 დეპორტივო**

0:1 ტურუ ფლორესი (24)

გაძევება: მაზინიო (სელტა 81)

დებიუტიც ასეთი უნდა. საუბარი „ბარსელონაში" ახლახან გადასულ ტყუპთაგან ორი წუთით უმცროს რონალდ დე ბურზე გვაქვს.

თავიდან მოვყვეთ. ოთხშაბათს ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი „ბარსელონა" ქვეყნის მესამე დივიზიონში მოთამაშე „ბენიდორმს" ეწვია. როგორც გახსოვთ, ამ უსახელო გუნდმა წინა ეტაპზე „ტენერიფეს" რთული ბარიერი გადალახა და სენსაციაც გამოაცხო.

ჰოლანდიის ნაკრების საბაზო კლუბად ქცეულ კატალონიელებს ბრაზილიელი ლიდერი რივალდო და პატრიკ კლუივერტი აკლდათ. ამის ბრალი იყო, თუ მეტოქისადმი არასერიოზული დამოკიდებულების, „ბარსელონა" თავის თავს არ ჰგავდა.

ყველაზე ცოცხლად ჩემპიონთა მარცხენა ფრთა გამოიყურებოდა, სადაც დე ბურები იყვნენ განლაგებულნი. ფრენკი ძირითადად საკუთარი საჯარიმოს უსაფრთხოებაზე ზრუნავდა და ხანდახან მშვენიერი პასებითაც ამარაგებდა ახალ თანაკლუბელებს, მისი ნახევარმცველი ნახევარი კი ძალ-ღონეს არ იშურებდა დაბალი დონის მეტოქის კარის დასალაშქრად.

საბოლოოდ, როგორც უკვე ვთქვით, დებიუტი შედგა. მარჯვენა ფლანგზე ლუიშ ფიგუს აქტიურობისა და გამოზომილი, მაღალი ჩაწოდების შემდეგ ბურთთან პირველი სწორედ რონალდ დე ბური გაჩნდა და მატჩის ერთადერთი გოლიც გაიტანა. მატჩისა, რომლის დასრულებამდე სულ რაღაც ორი წუთი რჩებოდა.

მატჩის არბიტრის საფინალო სასტვენს საერთოდ აღარაფერი უკლდა ბასკეთში, სადაც ბილბაოს „ატლეტიკი" ათკაციან „რასინგთან" 1:2-ს აგებდა, მაგრამ ამ დროს იულენ გერერომ ივარგა, სანტანდერელთა კარში ბოლო წამებზე გატანილი გოლით თავისიანებს ფრე მოუპოვა და საპასუხო მატჩისთვის უფრო იმედიანად განაწყო.

ესპანელ ბობოლათა შორის შემორჩენილი კიდევ ერთი უსუსური კლუბი „ლევანტე" „ვალენსიას" შეასკდა და ნაწილებად დაიფშხვნა — 0:3. მოულოდნელად წააგო პრიმერა დივიზიონის ლიდერმა ვიგოს „სელტამ" შინ „დეპორტივო ლა კორუნიასთან". ერთადერთი გოლი მატჩის დასაწყისში ტურუ ფლორესმა გაიტანა. „რასინგის" მსგავსად ეს შეხვედრა მასპინძლებმაც რიცხვობრივ უმცირესობაში დაასრულეს — მსაჯმა მინდვრიდან დროზე ადრე (81-ე წუთზე) 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, მიმდინარე სეზონში ძველებურად კარგად მოთამაშე მაზინიო მიაბრძანა.

# ერთი მეორეთი

სამთა ტურნირი

სანამ საქართველოს ნაკრები სპარინგ-პარტნიორთა ძიებაშია, ჩვენი ქვეჯგუფის კიდევ ერთმა წევრმა, ნორვეგიამ ისრაელში სამთა ტურნირში მასპინძელთა გუნდი დაამარცხა.

ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას წლეულს 70 წელი უსრულდება და სამთა ტურნირიც ამ თარიღის აღსანიშნავადაა მოწყობილი. მასში ისრაელის და ნორვეგიის გარდა ესტონეთიც მონაწილეობს.

ორშაბათს მასპინძლებმა ესტონელები არ დაინდეს და 7:0 გაანადგურეს. ისრაელის ნაკრების მწვრთნელი შლომო შარფი ნორვეგიელებთანაც იოლ გამარჯვებას ელოდა, მაგრამ მოტყუვდა. მასპინძლები 0:1 დამარცხდნენ.

რადგან ევროპაში საფეხბურთო ჩემპიონატები არ შეწყვეტილა, ნორვეგიელთა თავკაცმა ნილს იოჰან სემბმა ნაკრები ძირითადად ნორვეგიაში მოთამაშე ფეხბურთელებით დააკომპლექტა, თუმცა ლიდერთა არყოფნას სკანდინაველთათვის სულაც არ უვნია.

მასპინძელთა და საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქის დაპირისპირება დაძაბულად წარიმართა. ნორვეგიამ ჩვეულად ითამაშა და მეტოქეს ტაქტიკურად აშკარად აჯობა. გადამწყვეტი გოლი მე-11 წუთზე გავიდა. შეხვედრის არბიტრმა იტალიელმა პიერლუიჯი კოლინამ შეხვედრის დასაწყისში მასპინძელთა მცველი ვალიდ ბადირი უხეშობაში ამხილა და პენალტი დანიშნა. ბენტ სკამელსრუდმა ანგარიში გახსნა.

მასპინძელთა გასახარად, კოლინამ ნორვეგიელებიც დასაჯა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით, მაგრამ მათსავე სამწუხაროდ, ავი ნიმნიმ შანსი ხელიდან გაუშვა. მის მიერ 59-ე წუთზე პენალტის ნიშნულიდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. მასპინძლებმა ნორვეგიელთა ძელი კიდევ ერთხელ შეაზანზარეს, როცა რან ბენ შიმონმა ვერ გაიტანა.

ნორვეგიელთა თავკაცი ნილს იოჰან სემბი გუნდის თამაშით კმაყოფილი გახლდათ, თან დასძინა, სტუმრად გამარჯვება მეტად გვსიამოვნებსო. ხასიათი წახდენოდა მასპინძელთა თავკაც შლომო შარფს: „არ მეგონა, თუ წავაგებდით, ნორვეგიას მართლაც კარგი გუნდი ჰყავს".

სამთა ტურნირი დღეს დასრულდება. ნორვეგია ესტონეთს შეხვდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:1 | 3 |
| ნორვეგია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:7 | 0 |



მატჩის იტალიელი არბიტრი კოლინა ნორვეგიელი ტომი სვინდალ ლარსენის და მასპინძელი რან ბენ შიმონის (№6) ბრძოლას ადევნებს თვალყურს

# მშვიდობა თქვენდა!



ირანს და ამერიკას სამართლიანი თამაში ფიფამაც დაუფასა

ფიფამ ღირსეულები დააჯილდოვა. უფრო სწორად, პრიზის მფლობელები დაასახელა, პრიზებს კი მათ 1 თებერვალს ბარსელონაში გადასცემს.

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ გუშინ „ფიერ ფლეის“ ანუ სამართლიანი თამაშის პრიზის მფლობელები დაასახელა. ფიფამ ასეთად ერთბაშად სამი ნაკრები — ირანის, აშშ-სა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები სცნო.

ამერიკელებმა და ირანელებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველას დაანახეს, რომ მიუხედავად ამ ორ ქვეყანას შორის გართულებული ურთიერთობისა, პოლიტიკას სპორტთან არანაირი კავშირი არ აქვს. გარდა ამისა, ფიფამ ისიც გაითვალისწინა, როა ამ გუნდების შეხვედრებში უხეშობა ყველაზე ნაკლებად იყო.

სამართალიანი თამაშის პრიზით დაჯილდოვდა ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციაც. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოირლანდიელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უთამაშიათ, მათ მიერ გაწეული სამუშაო აღნიშვნას ნამდვილად იმსახურებს. ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ იმდენი მოახერხა, კლიფტონვილში „სოლიტუდზე“, „კლიკტონვილი“ და „ლინფილდი“ ერთმანეთს შეახვედრა. არადა, ამ გუნდების მეტოქეთა ქალაქებში შეხვედრა მანამდე 30 წლის მანძილზე შეუძლებელი იყო. რადგან „კლიფტონვილი“ კათოლიკეთა კლუბია, „ლონფილდი“ კი პროტესტანტებისა, მათ შორის მთელ ჩრდილოეთ ირლანდიაში დიდი დაპირისპირებაა.

ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა, რომ სამივე ქვეყანას ღირსეულ გამარჯვებულად მიიჩნევს.

თავის რჩეულებს ფიფა 1 თებერვალს დააჯილდოებს ბარსელონაში, იქვე თავისივე ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს გადასცემს საგანგებო პრიზს.

# ლივერპულს კარდიფი სჯობს

უელსი იმედოვნებს, რომ ევრო 2000-ის შესარჩევ შეხვედრას დანიის წინააღმდეგ კარდიფში ჩაატარებინებენ. საქმე ის გახლავთ, რომ 9 ივნისს დანიშნული ამ მატჩისთვის ლივერპულის ცნობილ „ენფილდ როუდს“ უნდა ემასპინძლა, თუმცა, როგორც ირკვევა არც დანიელებს აქვთ რაიმე მისი „ნინიან პარკზე“ გადატანის საწინააღმდეგო.

გასული წლის ოქტომბერში უელსელებმა ბელარუსს სწორედ კარდიფის სტადიონზე მოუგეს 3:2. იმ დღეს მათ 12 ათასი ადამიანი ამხნევებდათ, ლივერპულში მათ იტალიასთან შეხვედრას (0:2) კი 23 ათასი ადამიანი დაესწრო და ბილეთების გაყიდვით მიღებულმა შემოსავალმა ტელემონაგართან ერთად 500 ათასი გირვანქა შეადგინა. შესაბამისად, მარტივი არითმეტიკით დამტკიცდა, რომ „ენფილდ როუდზე“ თამაში გაცილებით მომგებიანი ყოფილა, მაგრამ თავად ფეხბურთელებმა სხვა კუთხით შეხედეს საკითხს. მათ თქვეს ჩვენთვის შემოსავალი გადამწყვეტი სულაც არ არისო.

„მოთამაშეებს ფინანსური მხარე კარგად გვესმის და ვიცით, რომ ლივერპულში მატჩები სწორედ ამ მოსაზრებით იმართება, მაგრამ ჩვენ უელსელები გახლავართ და მეტოქეთა მასპინძლობა სამშობლოში გვსურს“ — განაცხადა გუნდის კაპიტანმა გარი სპიდმა. მანვე დასძინა:

„ბელარუსთან თამაშის დროს ჩვენს გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი გულშემატკივრებმა ითამაშეს. ის სალამო დაუვიწყარი იყო. ჩვენს გასამხნევებლად ხალხი რექსჰემიდან და სუონსიდან ჩამოვიდა. მათ კარდიფელებიც დაემატნენ. ამიტომაც მწამს, რომ დანიასთან შეხვედრის „ნინიან პარკზე“ გამართვა უფრო სწორი იქნება. ვგრძნობთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის დიდი შანსი გვაქვს, ამიტომაც ფანების დახმარება ძალიან გვჭირდება. მათ შეუძლიათ მიზანს მიგვაღწევინონ“.

უელსის ფეხბურთის ასოციაციას დანიასთან მატჩის კარდიფში გადატანის ნებართვა უეფასგან ჯერ არ მიუღია, თუმცა ევროპული ფეხბურთის მმართველებს ალბათ საწინააღმდეგო არაფერი ექნებათ.

„თუ უელსის ნაკრებს უელსში თამაში სურს, ჩვენ წინააღმდეგობის გაწევის უფლება არ გვაქვს“ — თქვა დანიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა სტერნე ჰანსენმა — „შეხვედრა ლივერპულში იყო დანიშნული, ამიტომ მისი სხვა ქალაქში ჩატარების ნებართვა უეფამ უნდა გასცეს. ვიმეორებ, თუ უელსელებს მისი სამშობლოში გამართვა უნდათ, ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებთ“.

დღეისათვის პირველი შესარჩევი ჯგუფის ცხრილში უელსის ეროვნული გუნდი იტალიასთან ერთად პირველ ადგილზეა, თუმცა „სკუადრა აძურას“ თამაშით ნაკლები აქვს. დანიას ორი ფრედ ნათამაშევი მატჩის და შინ, უელსთან დამარცხების გამო ლიდერებთან ოთხი ქულა ანსხვავებს.

# გულიტი წინასწარ არაფერს ამბობს



ტარიბო ვესტი

„ნიუკასლ იუნაიტედი“ ჯერჯერობით არ ადასტურებს ცნობას, რომ „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“ 4 მილიონ გირვანქად ნიგერიელი ტარიბო ვესტის ჩაყვანა სურს.

გავრცელებულ ხმათა თანახმად, ტინსაიდელთა კლუბის თავმჯდომარე ფრედი შეფერდი და აღმასრულებელი შეფი ფრედი ფლეტჩერი იტალიაში გადაფრინდნენ, რათა მილანის „ინტერის“ ხელმძღვანელებთან 24 წლის მცველის შესახებ ელაპარაკათ.

მოგეხსენებათ, „ნიუკასლის“ მწვრთნელი რუუდ გულიტი ვესტის თანაკლუბელის, ფრანგი იბრაჰიმ ბას ყიდვას ლამობდა, მაგრამ გარიგება ჩაიშალა, რადგან ნიუკასლელ ექიმებს ბას ჯანმრთელობა არ მოეწონათ.

აღსანიშნავია, რომ გულიტი ისევ აცხადებს, რომ სატრანსფერო ბაზართან დაკავშირებულ გეგმებზე არავის არაფერს ეტყვის, სანამ რომელიმე მოთამაშის ყიდვასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები არ დასრულდება. ვესტთან დაკავშირებით „ნიუკასლის“ მწვრთნელი „ლივერპულს“ უნდა უფრთხოდეს, რადგან ამ სეზონის დასაწყისში ნიგერიელის ყიდვა სწორედ მერსისაიდელებს სურდათ.

გულიტს დღეისთვის დანკან ფერგიუსონის და დიდიე დომის შეძენაში 12 მილიონი გირვანქა აქვს დახარჯული, თუმცა დევიდ ბეტის, კიტ გილესპის, სტეფან გივარჩის და სტივ ფოტსონის გაყიდვით გვარიანი თანხაც აქვს მიღებული.

# როცა მეხუთე ზედმეტია

ბევრმა ფულმა ასე იცის — კლუბები იმდენ უცხოელ ფეხბურთელებს ყიდულობენ, აღარ იციან, ვინ როდის ათამაშონ.

ლეგიონერებით გავსებულ „ვალიადოლიდს“ მეტად ცუდი ამბავი აცნობეს — ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა კლუბს, 10 იანვარს, „ბეტისთან“ 2:1 მოგებულ შეხვედრაში 0:3 წაგება ჩაუთვალა. მიზეზს არ იკითხავთ? „ვალიადოლიდის“ მწვრთნელმა მე-18 წუთზე ტრავმირებული ხოსე ლუის სანტამარია კოლუმბიელ ნახევარმცველ ჰაროლდ ლოსანოთი შეცვალა, რის გამოც შემადგენლობაში ერთბაშად ხუთი არაევროკავშირელი ქვეყნის მოთამაშე აღმოჩნდა, ეს კი ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის წესებით დაუშვებელია. მალე „ვალიადოლიდის“ თავკაცი სერხიო კრესიჩი მიხვდა შეცდომას და ლოსანოც ესპანელი ალბერტო ლოპესით შეცვალა, მაგრამ სევილიელებს არაფერი გამოპარვიათ.

„ბეტისის“ ხელმძღვანელობამ უმალ აფრინა პროტესტი შესაბამის დაწესებულებაში და სასურველ შედეგსაც მიაღწია — „ვალიადოლიდს“ 0:3 წაგება ჩაუთვალეს, 3500 დოლარითაც დააჯარიმეს, კლუბის უყურადღებო მწვრთნელს კი ორთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

„ვალიადოლიდმა“ თავის მხრივ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში აპელაცია შეიტანა. იმედოვნებენ, რომ სასჯელს ასცდებიან.




**ბრაზილიელი** ჟუნინიოს გადასაბირებლად ინგლისის „ასტონ ვილას“ მწვრთნელი ჯონ გრეგორი მზადაა, 10 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. მადრიდის „ატლეტიკოს“ გამთამაშებელი ესპანურ კლუბში მაინცდამაინც არგად ვერ გრძნობს თავს. ფეხბურთელის აგენტმა ჯანი პალადინამ განაცხადა, რომ ჟუნინიო სიამოვნებით გადავიდოდა „ასტონ ვილაში“, რადგან მას გუნდის თამაშის სტილი ერთობ ხიბლავს. ბირმინგემელი კლუბის მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ ჟუნინიოს შესყიდვის სურვილი კლუბის პრეზიდენტ დაგ ელისთან საუბრის შემდეგ გამოთქვა. ელისმა გრეგორის აღუთქვა, რომ იგი ფეხბურთელში 10 მილიონ გირვანქას გაიღებს.

**იტალიის** „ინტერი“ გარიგებას ჩარხავს. მილანელებს მადრიდის „რეალის“ იტალიელი მცველი კრისტიან პანუჩი უნდათ, სანაცვლოდ კი მზად არიან, სამეფო კლუბს ბრაზილიელი ლეგიონერი ზე ელიასი დაუთმონ. პანუჩის აზრი ჯერ არავინ იცის, აი, ზე ელიასი კი ჩემპიონთა თასის მფლობელის ღირსების დაცვაზე უარს ნამდვილად არ იტყვის. „რეალი“ უძლიერესი კლუბია და ყველაზე მეტი ჯილდო მოუგია. მე მოხარული ვიქნები, თუ კლუბის მაისურს მოვირგებ“ — განუცხადა ზე ელიასმა ჟურნალისტებს. ამასობაში ცნობილი გახდა, რომ მადრიდელები ყაბულს არიან რამდენიმე მილიონი დოლარი გადაუხადონ ვიგოს „სელტას“ მცველ მიჩელ სალგადოს სანაცვლოდ.

**საფრანგეთის** „მარსელს“ შაბათს, თასის გათამაშებაში „ოსერთან“ მატჩში ხუთი ფეხბურთელი დააკლდება. გვინეელი თავდამსხმელი ტიტი კამარა, განელი არტურ მოიზესი, კოტ დივუარელები სირილ დომორუ, ტირესუა გუელი და სამხრეთაფრიკელი პიერ ისა ნაკრებში არიან გამოძახებულნი. ეს ხუთეული 29 იანვრისთვის, „ბორდოსთან“ მატჩამდე კლუბს დაუბრუნდება.

**ინგლისის** ჩემპიონი და თასის მფლობელი „არსენალის“ ხელმძღვანელებმა კლუბის ვეტერან მცველთა ოთხეულს კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზა. 36 წლის სტივ ბოულდს და 35 წლის ნაიჯელ უინთერბერნს „მეთოფეებთან“ კონტრაქტი ერთი წლით გაუგრძელდათ. 32 წლის ტონი ადამსს და 33 წლის მარტინ კიოუნს კი „არსენალთან“ კიდევ სამწლიანი ხელშეკრულება აკავშირებთ. ოთხივე მცველი ბოლო ათი წელი „არსენალის“ დაცვის უცვლელი წევრია, ამ ხნის განმავლობაში კი კლუბმა ჩემპიონატი სამჯერ მოიგო, თასი ორჯერ, ლიგის თასიც მოიპოვა და თასების მფლობელთა თასიც.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის თასის გათამაშების მესამე წრის ერთი შეხვედრის გადათამაშება ოთხშაბათს რომ უნდა შემდგარიყო, შაბათისთვის გადაიდო. „ნოთს ქაუნთი“ ვერ დაუპირისპირდა „შეფილდ იუნაიტედს“, რადგან ძალიან წვიმდა. ამ წყვილის გამარჯვებული 27 იანვარს შინ „კარდიფს“ მიიღებს.

**ავსტრალიელმა** ნახევარმცველმა პოლ ოკონმა ბელგიური გაზეთის კორესპონდენტს განუცხადა, რომ იტალიური „ლაციოდან“ რომელიმე სხვა კლუბში გადაბარგება სწადია. ფეხბურთელი უკმაყოფილო ყოფილა — რომაული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება.

**ხორვატი** თავდამსხმელი ბრანკო სტუპარი, რომელიც ბელგიის „გენკის“ ღირსებას იცავს, ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. სტუპარმა იმ გამოკითხვაში გაიმარჯვა, რომელშიც ჟურნალისტები, ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, მსაჯები და გამოკითხვის ადრინდელი გამარჯვებულები მონაწილეობდნენ. არ მეგონა, ასეთ აღიარებას თუ მივაღწევდიო, განაცხადა გამარჯვებულმა.

**თურქეთში** სამთა ტურნირში სათამაშოდ ჩასული „ფეიენოორდი“ ქურდებმა გაძარცვეს. სანამ როტერდამელი ფეხბურთელები საერთაშორისო ტურნირის პირველ შეხვედრას ჩაატარებდნენ მასპინძელ „გალათასარაისთან“, დაუდგენელმა პირებმა მათ პასპორტები, საათები, მობილური ტელეფონები და სხვადასხვა ნივთები მოპარეს. სტამბოლის პოლიციამ ჰოლანდიელებს დანაკარგის ანაზღაურება აღუთქვა. რაც შეეხება შეხვედრას, ის ფრედ 2:2 დასრულდა. ტურნირში დორტმუნდის „ბორუსიაც“ მონაწილეობს.

**ესპანეთს** უეფას წარმომადგენლები ეწვივნენ, რათა ქვეყნის რამდენიმე საფეხბურთო სტადიონი შეემოწმებინათ. როგორც ცნობილია, ესპანეთს სურს 2004 წელს ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლოს, საამისოდ კი .. ქალაქიც შეარჩია. უეფას წარმომადგენლებმა სარაგოსას „ლა რომარედას“ სტადიონი მოინახულა და დაიწუნეს, თუმცა სარაგოსას მერიამ განაცხადა, თუ უეფა ესპანეთს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მისცემს, ქალაქში ახალ სარბიელს ავაგებთო. ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა პორტუგალიასაც სურს და კვიპროსსაც.

# სებასტიანო ცელქი

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „მილანის“ ტანმაღალი მეკარე სებასტიანო როსი ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ბოლო ტურში, „პერუჯასთან“ მატჩის უკანასკნელ წუთზე, მას შემდეგ რაც პენალტი გაუტანეს, როსიმ ერთ-ერთ მეტოქეს ხელი განზრახ მოარტყა სახეში. „მილანი“ როსის დისკვალიფიკაციის შემდეგ ძირითადი მეკარის გარეშე დარჩა, რადგან როსის დუბლიორმა იენს ლემანმა იტალიურ კლუბში სათადარიგო სკამზე ჯდომას დორტმუნდის „ბორუსიაში“ თამაში არჩია. მილანური გუნდის თავკაცებმა თავისთან იხმეს სერია B-ს კლუბ „კოზენცას“ კარის დარაჯი ჯიორჯო ფრეზოლინი.



სებასტიანო როსის ხელების ქნევა ძვირად დაუჯდა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 იანვარი | | | |
| უოტფორდი — ვესტ ბრომვიჩი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისის თასი. III წრე

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 იანვარი | | | |
| ნოთს ქაუნთი — შეფილდ იუნაიტედი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ინგლისის თასი. IV წრე

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 იანვარი | | | |
| ასტონ ვილა — ფულემი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ბლექბერნი — სანდერლენდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ევერტონი — იფსვიჩი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ლესტერი — ქოვენთრი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ნიუკასლი — ბრედფორდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| პორტსმუთი — ლიდსი | 6,5 | 3,2 | 1,5 |
| შეფილდ უენსდეი — სტოკპორტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| სუონსი — დერბი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| ბარნსლი — ბორნმუთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| უიმბლდონი — ტოტენჰემი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| რექსჰემი — ჰადერსფილდი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 24 იანვარი | | | |
| მანჩესტერი — ლივერპული (16⁰⁰) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ვულვერჰემპტონი — არსენალი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| 25 იანვარი | | | |
| ოქსფორდი — ჩელსი | 8,0 | 4,4 | 1,25 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 24 იანვარი | | | |
| ბოლონია — მილანი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ემპოლი — ფიორენტინა | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| ინტერი — კალიარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| იუვენტუსი — პერუჯა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლაციო — პიაჩენცა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| სალერნიტანა — რომა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| სამპდორია — უდინეზე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვენეცია — ბარი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვიჩენცა — პარმა | 3,8 | 2,8 | 1,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 იანვარი | | | |
| მონცა — ატალანტა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 24 იანვარი | | | |
| ბრეშა — პესკარა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ჩეზენა — კოზენცა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| კრემონეზე — ნაპოლი | 5,0 | 2,9 | 1,7 |
| ფ. ანდრია — ტერნანა | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ლეჩე — კიევო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| ლუკეზე — რეჯანა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| რეჯინა — ტორინო | 3,3 | 2,6 | 2,2 |
| ტრევიზო — რავენა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ვერონა — ჯენოა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 იანვარი | | | |
| ბილბაო — ბეტისი | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 24 იანვარი | | | |
| ბარსელონა — სარაგოსა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ვალიადოლიდი — რასინგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ვილიარეალი — ესტრემადურა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| დეპორტივო — რეალი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| ატლეტიკო — სელტა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მალიორკა — ვალენსია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ტენერიფე — სალამანკა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ოვიედო — ესპანიოლი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სოსიედადი — ალავესი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 იანვარი | | | |
| ბარსელონა B — ლას პალმასი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ლეგანესი — ლოგრონიესი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ორენსე — კომპოსტელა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 24 იანვარი | | | |
| ტოლედო — ეიბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| ალბასეტე — სპორტინგი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ერკულესი — მალიორკა B | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ოსასუნა — ატლეტიკო B | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბადახოსი — რაიო ვალეკანო (15⁰⁰) | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| მერიდა — ლეიდა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| რეკრეატივო — ნუმანსია | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| სევილია — მალაგა | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### საფრანგეთის თასი. III წრე.

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 იანვარი | | | |
| ნიორი (II) — სტრასბური | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ტუარი (III) — პსჟ | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 23 იანვარი | | | |
| ფკ პარიზი (III) — ლორიანი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| ტრუა (II) — მონპელიე | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| რენი — კულენი (V) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| ლიჟონი (IV) — ბასტია | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| მეცი — ბორდო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| არმენტიერი (IV) — ლანსი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ჟურასუდფუტი (V) — ტულუზი | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| ბლანიაკი (V) — ლე ავრი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ამიენსი (II) — მონაკო | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| შატორუ (II) — ლიონი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| ლაროში (IV) — ნანტი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ლავალი (II) — ნანსი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| მარსელი — ოსერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 იანვარი | | | |
| ლეირია — გიმარაეში | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| 23 იანვარი | | | |
| შავეში — სპორტინგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ბენფიკა — რიუ ავე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ბოავიშტა — ალვერკა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 24 იანვარი | | | |
| სეტუბალი — ამადორა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| პორტუ — ბეირა მარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| სალგეირუში — მარიტიმუ | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| კამპომაიორენსე — აკადემიკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 25 იანვარი | | | |
| ბრაგა — ფარენსე | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 იანვარი | | | |
| სტანდარდი — გენკი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 23 იანვარი | | | |
| ლომელი — ბრიუგე | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| სენტ ტრუიდენი — ეკერენი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ოსტენდე — კორტრაიკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლიერსი — შარლერუა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ლოკერენი — ბევერენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ანდერლეხტი — ვესტერლო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 24 იანვარი | | | |
| აალსტი — გენტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ჰარელბეკი — მუსკრონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შოტლანდიის თასი. III წრე

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 იანვარი | | | |
| მორტონი (I) — დანდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| აირი (I) — კილმარნოკი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| პარტიკ თისლი (II) — დანფერმლაინი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| სენტ ჯონსტონი — ფორფარი (II) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| სელტიკი — ეირდრენიანსი (I) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| რეინჯერსი — სტენჰაუსმური (III) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| აბერდინი — ლივინგსტონი (II) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 24 იანვარი | | | |
| მოზერველი — ჰარტსი | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### აფრიკის თასი. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 იანვარი | | | |
| ალჟირი — ტუნისი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 23 იანვარი | | | |
| განა — მოზამბიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ერითრეა — კამერუნი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| სიერა ლეონე — ტოგო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სენეგალი — ბურკინა ფასო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ნიგერია — ბურუნდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ლიბერია — უგანდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 24 იანვარი | | | |
| გვინეა — მაროკო | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| კონგო — მალი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| კოტ დივუარი — ნამიბია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ანგოლა — გაბონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მავრიკი — სამხრეთ აფრიკა | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| მადაგასკარი — ზამბია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| კონგო — კენია | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ჩემპიონთა თასი

| | |
|---|---|
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| მანჩესტერი | 3,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 |
| დინამო | 10,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |

### თასების თასი

| | |
|---|---|
| ლაციო | 2,0 |
| ჩელსი | 2,0 |
| მალიორკა | 3,0 |
| ლოკომოტივი | 8,0 |
| მაკაბი | 15,0 |
| ვარტექსი | 50,0 |
| ვალერენგა | 50,0 |
| პანიონისი | 50,0 |

### უეფას თასი

| | |
|---|---|
| რომა | 3,0 |
| პარმა | 3,0 |
| მარსელი | 4,0 |
| ბორდო | 5,0 |
| სელტა | 5,0 |
| ატლეტიკო | 6,0 |
| ბოლონია | 8,0 |
| ლიონი | 10,0 |

#### ინგლისი

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,8 |
| ჩელსი | 1,8 |
| ასტონ ვილა | 4,0 |
| არსენალი | 5,0 |
| ლივერპული | 5,0 |
| ლიდსი | 8,0 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,01 |
| ლევერკუზენი | 8,0 |

#### იტალია

| | |
|---|---|
| ინტერი | 1,9 |
| ფიორენტინა | 2,0 |
| პარმა | 4,0 |
| მილანი | 5,0 |
| ლაციო | 5,0 |
| იუვენტუსი | 8,0 |
| რომა | 8,0 |

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 2,0 |
| რეალი | 2,0 |
| მალიორკა | 2,5 |
| სელტა | 4,0 |
| ვალენსია | 5,0 |
| ატლეტიკო | 5,0 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| მარსელი | 1,3 |
| ბორდო | 2,5 |

#### პორტუგალია

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,3 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 6,0 |
| ბოავიშტა | 6,0 |

#### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ფეიენოორდი | 1,5 |
| აიაქსი | 2,2 |
| ვიტესი | 5,0 |
| ეინდჰოვენი | 6,0 |

#### ბელგია

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 1,1 |
| გენკი | 3,5 |
| სტანდარდი | 6,0 |
| ანდერლეხტი | 8,0 |

#### პოლონეთი

| | |
|---|---|
| ვისლა | 1,1 |
| ლეგია | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| გურნიკი | 8,0 |
| ვიძევი | 8,0 |

#### თურქეთი

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 1,4 |
| ფენერბაჰჩე | 2,5 |
| ბეშიქთაში | 2,5 |
| ტრაბზონი | 5,0 |

#### შოტლანდია

| | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,2 |
| სელტიკი | 3,0 |
| კილმარნოკი | 6,0 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| შტურმი | 1,7 |
| რაპიდი | 2,0 |
| გრაცერი | 4,0 |
| ლინცერი | 8,0 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| სერვეტი | 1,8 |
| გრასჰოპერი | 1,8 |
| ციურიხი | 2,5 |
| ლოზანა | 4,0 |

ნებისმიერი კონკრეტული გუნდი, რომელიც სიაში მოხსენიებული არ არის — 10,0

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე**

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



REUTERS

დარუშაფაკა — ბარსელონა. გიულერის (7) შეჩერება ბარსელონელმა გუროვიჩმა ჯარიმით შეძლო

### კორაჩის თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. 20 იანვარი

**პანიონიოსი (საბერძნეთი)** — რადნიჩკი (იუგოსლავია) 81:71 (88:74)
პანიონიოსი: კასოლი (2), კუპერი (13), დრელიოზისი (13), კამარიოტისი (3), კარაგუტისი (18), კიკილიასი (9), იელიჩი (3), მიხალოსი (3), სიმსი (27), სტავრაკოპულოსი

ციტლიუკი (ბოსნია) — **ბეშიქთაში (თურქეთი)** 80:58 (53:84)

შიაულიაი (ლიტვა) — **დუკატო (იტალია)** 69:66 (45:85)
დუკატო: ალბერტი, ამაია (27), კორჩიანი (8), ლარსენი (2), მიდლტონი (24), მინტო (3), ოლივერი (2), როსეტი

დარუშაფაკა (თურქეთი) — **ბარსელონა (ესპანეთი)** 76:74 (71:83)
დარუშაფაკა: ანსლი (23), გოქაი, გრინი (12), გიულერი (14), კაპიაოღლუ (2), ქოშედაგი, მალა (15), ოკუნსკი (10)
ბარსელონა: ალსტონი (7), ჯორჯევიჩი (19), დუენიასი (6), ესტელერი (9), ფერნანდესი (13), გუროვიჩი (12), რენციასი (5), როდრიგესი (3)

პოგონი (პოლონეთი) — **ადეკო (ესპანეთი)** 79:83 (71:76)
ადეკო: დე ლა კუესტა (9), ბარსენასი (9), ვილა (12), მარტინესი (8), რეიესი (19), რობლესი (2), ტომპსონი (18), ვანდივერი (11)

**არსენალი (რუსეთი)** — აეროპორტი (იტალია) 81:71 (83:79)
არსენალი: ანტიპოვი (9), კონოვალოვი (2), ლავროვი (3), პეტრენკო (18), სოლოვიოვი (14), სტრელკინი, ტენი (5), ვადეევი (13), იუდინი (17)
აეროპორტი: ამბრასა (13), ბონი (21), ბუსკა (4), კიდი (11), ობრადოვიჩი (13), პესინა (4), როსინი (11), ტონოლი

**ოსტენდე (ბელგია)** — გალათასარაი (თურქეთი) 85:69 (58:62)
ოსტენდე: ბაიერი (2), დე სევერი, გუტალსი (13), ჟომინი (17), ჟერომი (23), ლოვერსი, ლოლისი (18), მიტჩელი (12)
გალათასარაი: ბრო (5), დევისონი (18), დემირი, ენე (22), ოზთურქი (11), პეტრუშკა (7), სეზგინი, თუნჩერი (6), უჩოქლარი

აპოლონი (საბერძნეთი) — **დიჟონი (საფრანგეთი)** 70:67 (52:58)
დიჟონი: ბერნარი (6), კალაბრია (15), დოპერტი (6), ეზუგვუ (1), პამი, კანტე (6), ლარსონი (17), ლორი (16)

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში*

### მეოთხედფინალი. 10 და 17 თებერვალი

პანიონიოსი (საბერძნეთი) — დიჟონი (საფრანგეთი)
ოსტენდე (ბელგია) — ბეშიქთაში (თურქეთი)
დუკატო (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი)
ადეკო (ესპანეთი) — არსენალი (რუსეთი)

### საპორტას თასი. მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები. 20 იანვარი

პარტიზანი (იუგოსლავია) — ბროცენი (ლატვია) 87:89 (97:84)
პარტიზანი: ბრკიჩი (22), ჩუბრილო (8), ჯოკიჩი (6), ილიევსკი (5), ლუკოვსკი (12), პეკოვიჩი (13), რადოშევიჩი (13), ტომაშევიჩი (2), ვარდა (6)

ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ანტვერპენი (ბელგია) 94:66 (64:67)

ხუვენტუდი (ესპანეთი) — შტალგაუ (ავსტრია) 95:64 (92:66)
ხუვენტუდი: ბიოტა (6), კორალესი (2), დრეიმი (4), გუტიერესი (12), გრიმო (15), ლოპესი (3), მიდლტონი (18), მუმბრუ (6), მურსია (12), სვინსონი (17)

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მერვედფინალში*

### მერვედფინალი. 9 და 16 თებერვალი

ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი)
პივოვარნა (სლოვენია) — შოლე (საფრანგეთი)
სპლიტი (ხორვატია) — პამესა (ესპანეთი)
ტელეკომი (თურქეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია)
ულმი (გერმანია) — თოფაში (თურქეთი)
ვენტსპილსი (ლატვია) — არისი (საბერძნეთი)
ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ხუვენტუდი (ესპანეთი)
შარლერუა (ბელგია) — ბენეტონი (იტალია)

# როდმანი მართლა გიჟია?

## აბა, ეს ყოფილა შიშველი გადარეული!

ორი დღის წინ იყო, დენის როდმანმა კალათბურთიდან წასვლის შესახებ რომ განაცხადა და ქომაგებიც დაამწუხრა. გუშინ კი ამ მართლა შერეკილმა აზრი შეიცვალა, თქვა, ამ სეზონში აუცილებლად ვითამაშებო.

როდმანმა ინტერნეტით გაავრცელა ცნობა ნბა-ში დარჩენის შესახებ, რაც მისმა აგენტმა დუაიტ მენლიმაც დაადასტურა. დენისი კი გვამცნობს: „აზრი უცბადვე შევიცვალე. გონება მეუბნება, რომ ამ სეზონშიც უნდა დავრჩე ნბა-ში და ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდში ვითამაშო. ჩიკაგო, ნიუ იორკი და ლოს ანჯელესი ის ქალაქებია, რომლებშიც თამაშს ვისურვებდი. თუმცა, სხვაგან ყოფნაც არ უნდა იყოს ცუდი."

ამბობენ, სანამ როდმანი კალათბურთიდან წასვლას გადაწყვეტდა, „ჩიკაგოს" მისი „ნიუ იორკში" გადაყვანა ჰქონდა განზრახულიო. მენლიმაც თქვა, ეს ამბავი მართალიაო, მაგრამ ამის თაობაზე მეტი სიტყვაც აღარ დაუძრავს.

თუკი „ჩიკაგოს" მართლა სურს როდმანის სხვა გუნდისთვის მიყიდვა ან გაცვლა, ჯერ თავად უნდა გაუფორმოს კონტრაქტი მას. ვადა დღეს დილას იწურებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდმანი, როგორც თავისუფალი აგენტი, თავისი შეხედულებისამებრ ამოირჩევს გუნდს. „ხარებმა" შეინარჩუნეს უფლებები და მერე სხვა გუნდებში გაყიდ-გაცვალეს შემდეგი მოთამაშეები: სკოტი პიპენი (ჰიუსტონში), ლუკ ლონგლი (ფინიქსში) და სტივ კერი (სან ანტონიოში).

დაირხა ხმები, „ჩიკაგო" როდმანს კონტრაქტს გაუფორმებს და მერე „ნიუ იორკ ნიქსს" გაუცვლის ბაკ ვილიამსშიო. „ნიქსის" გენერალურმა მენეჯერმა ერნი გრიუნფელდმა კომენტარისგან თავი შეიკავა.

როდმანი დღეს ტელევიზიით აპირებს გამოსვლას და ხალხს მოახსენებს, თუ რატომ შეიცვალა აზრი. ინტერნეტით კი ეს თქვა: „დიდხანს ვესაუბრე მრავალ ადამიანს, რომელთაც ვუყვარვარ და რომლებიც მიყვარს. მათ სხვადასხვა რამ მითხრეს. ჩემთვის კი მნიშვნელოვანი გამოდგა მათი აზრი, ვინც მეუბნებოდა დარჩიო. მეც გადავწყვიტე, არ წავიდე. ვიცი, გუშინ რაც ვთქვი, უკვე ისტორიაა, მაგრამ გუშინ თამაშისთვის თავის დანებება მქონდა გადაწყვეტილი. დღეს კი სხვა აზრისა ვარ."

ჩიკაგოში, ნიუ იორკში და ლოს ანჯელესში ცხოვრება-თამაშთან დაკავშირებით როდმანმა თქვა: „ქომაგებს ყოველთვის ვეუბნები, ჩემს ბოლო მატჩში ისეთ რამეს ჩავიდენ, რაც აქამდე არ ჩამიდენია. დარწმუნებული ვარ, იცით, რა იქნება ეს, მაგრამ, სულ მცირე, ერთი თამაშით მაინც დავბრუნდები და ამას გავაკეთებ — მოედნიდან შიშველი გავალ."

როდმანს არაერთხელ უთქვამს, რომ გამოსათხოვარ მატჩში ფორმას გაიხდის და მოედნიდან შიშველი გავა. თუ მან დანაპირები შეასრულა, ეს იქნება შერეკილი კალათბურთელის უკანასკნელი გიჟმაჟობა.

საკითხავი ისღაა, როდმანი მართლა სულელია თუ თავს ისულელებს?



# გამახარე, ერთხელ მაინც გამახარე!..

გუშინწინ უელსში ბორჯღალოსნებმა ამ ქვეყნის თასის გათამაშებაში მესამე შეხვედრა გამართეს და წინა ორის მსგავსად ამჯერადაც დამარცხდნენ. თუმცა...

რაღა თუმცა, როცა სამი თამაშიდან სამივეს აგებ. ქართველებს ამ მატჩში წინა ორთან შედარებით გაცილებით უკეთ უბურთავიათ, თამაშის სანახაობრივი მხარეც უკეთესი ყოფილა. ბორჯღალოსნებს იმდენი მოუხერხებიათ, უელსელებისათვის სამი ლელო გაუტანიათ: ორი ურჯუკაშვილის ანგარიშზეა, ერთიც ხამაშურიძემ გაიტანა. ქართველებს უკეთესი შედეგის მიღწევაც შეეძლოთ, ურჯუკაშვილს ორი გარდასახვა და ორი ასპროცენტიანი ჯარიმა რომ არ გაეფუჭებინა, თუმცა ეს ყველაფერი სველ მინდორს დაბრალდა და კიდევ — მსაჯს ხამაშურიძის მიერ გატანილი ერთი ლელო არ ჩაუთვლია, აქაოდა, წესების დარღვევით გაიტანეთო. საბოლოოდ მატჩი 36:17 დასრულდა. ერთი სიტყვით, მესამედაც დავმარცხდით, მაგრამ შეხვედრაში სასიამოვნო რამეებიც მომხდარა. უმთავრესი ისაა, რომ ჩვენი მორაგბეები, მწვრთნელთა გასახარად, კარგად გარჯილან; და მეორეც, ნაკრების შემადგენლობაში პირველად ითამაშა ყოჩმა ბადრი ხეხელაშვილმა, რომელმაც სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. ახლა ქართველ მორაგბეებს უელსში ერთი მატჩი დარჩათ გასამართი — 26 იანვარს „პონტიპრიდს" დაუპირისპირდებიან. პროგნოზისგან თავს შევიკავებთ, ღმერთმა ქნას, ჩვენმა მორაგბეებმა ბოლო თამაში მაინც მოიგონ, მაგრამ, იმედი რომ არ შეგვრჩა. ისე კი, იმ სამ გუნდისგან განსხვავებით, „პონტიპრიდი" „ლიანელთან" ერთად უელსის პირველობის ლიდერია. ბორჯღალოსნები სამშობლოს 27 იანვარს დაბრუნდებიან და ტონგასთან შეხვედრისთვის მზადებას აქვე გააგრძელებენ, თუმცა რაგბის კავშირის მოწადინებით შესაძლოა სამმეოთხედელებმა ორი კვირა საფრანგეთში წაივარჯიშონ, ტონგელებთან გაჯიბრებამდე ერთი კვირით ადრე კი, თუ ფინანსური საკითხი მოგვარდა, ნაკრები ორ ან სამ საკონტროლო შეხვედრას ზელანდიაში, გამართავს.

# მამლაყინწების ჯერიც მოვა

ორი კვირაღა დარჩა ხუთი ერის პირველობის დაწყებამდე. ამიტომაც, ყველა მონაწილე იმის ცდაშია, დარჩენილ დროში მაქსიმალურად მოემზადოს.

30 იანვარს იტალიელებთან ამხანაგურად დასაპირისპირებლად „მამლების" მწვრთნელმა ჟო მასომ რამდენიმე ახალ მოთამაშეს უხმო. მისი თქმით, დავიდ ორადუ, ოლივიე ოლიბო და სერჟ ბეტსენი ნაკრებში გუნდის გაახალგაზრდავების მიზნით მიიწვიეს, თაობათა ცვლის პროცესი კი უმტკივნეულოდ უნდა წარიმართოს. მანვე განაცხადა, ამ მატჩში შეიძლება ტრავმამოშუშებულმა ტომა კასტანიედმა და კრისტიან კალიფანომაც ითამაშონ, თუმცა უმჯობესია, დაისვენონ და ერთი კვირის შემდეგ ირლანდიელებთან პაექრობისთვის შეინახონ თავი. არცაა გასაკვირი, მასო ირლანდიელებთან შეხვედრას უფრო დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებს — ის თამაში ხომ ხუთი ერის პირველობისაა. ამიტომაცაა, რომ იმ სამი ახალწვეულის ნაცვლად მწვრთნელი ძველ, გამოცდილ მობურთალებს ენდო. საირლანდიო შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

მორკინალები: ფილიპ ბენეტონი („აჟანი"), ოლივიე ბრუზე („ბეგლ-ბორდო"), კრისტიან კალიფანუ, ფაბიენ პელუ, ფრანკ ტურნერი (ყველა „ტულუზი"), ტიერი კლედა („პო"), მარკ დალ მაზო („კოლომიე"), რაფაელ იბანესი, ტომა ლიევრემონი (ორივე „პერპინიანი"), ოლივიე მანი („ბრივი"), სილვენ მარკონე, მარკ ლიევრემონი (ორივე „სტად ფრანსე")

უკანა ხაზი: დავიდ ოკანი („პო"), ფილიპ ბერნა-სალი („ბიარიცი"), ფილიპ კარბონო („ბრივი"), ტომა კასტანიედი („კასტრი"), ფრანკ კომბა, რიშარ დურთი, არტურ გომესი, კრისტოფ ლასიუკი, ტომა ლამბარი (ყველა „სტად ფრანსე"), ემილ ნტამაკი („ტულუზი").

რაც შეეხებათ ირლანდიელებს, მათ თავკაცს უორენ გეტლანდს შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია. მისი თქმით, ამას ევროპის თასის ფინალის შემდეგ გააკეთებს. მატჩი 30 იანვარს გაიმართება და ერთმანეთს ჩრდილოირლანდიური „ოლსტერი" და ფრანგული „კოლომიე" შეხვდებიან, მანამდე ირლანდიელები 26 კაცის შემადგენლობით ვარჯიშობენ და როგორც მწვრთნელი აცხადებს, მისი შეგირდები ისეთ კარგ ფორმაში არიან, რომ 6 თებერვალს ხუთი ერის პირველ მატჩში „მამლების" დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ.

### ხუთი ერის პირველობა

I ტური. 6 თებერვალი
ირლანდია — საფრანგეთი
შოტლანდია — უელსი

II ტური. 20 თებერვალი
უელსი — ირლანდია
ინგლისი — შოტლანდია

III ტური. 6 მარტი
საფრანგეთი — უელსი
ირლანდია — ინგლისი

IV ტური. 20 მარტი
ინგლისი — საფრანგეთი
შოტლანდია — ირლანდია

V ტური. 10-11 აპრილი
საფრანგეთი — შოტლანდია
უელსი — ინგლისი

ბაატა თოთაძე

# იტალიური რაგბი დამწუხრდა

ქართველ რაგბის მოყვარულებს, ალბათ, არაფერს გეუბნებათ გვარი — ფრანჩესკატო და არც ის გეცოდინებათ, რას ნიშნავს იგი იტალიური რაგბისთვის.

ფრანჩესკატოების ოჯახი ყველაზე სახელოვანია იტალიურ რაგბიში. რომ არა ეს ოჯახი, იტალიური რაგბი ვერ მიაღწევდა იმ დონეს, რაც დღეს აქვს. ამიტომაც ადვილი წარმოსადგენია, რა ავტორიტეტით სარგებლობს ოჯახის თითოეული წევრი ამ ქვეყნის სარაგბო სამყაროში.

შაბათს, 30 იანვარს, იტალიელი მორაგბეები ფრანგებთან ამხანაგურად გასაჯიბრებლად მოედანზე შავი სამკლაურებით გავლენ გლოვის ნიშნად — ივან ფრანჩესკატო გარდაიცვალა. მობურთალი ორშაბათს საღამოს თავის ტკივილს შეუწუხებია. რამდენიმე საათის შემდეგ ტკივილების გაძლიერების გამო საავადმყოფოში გაუქანებიათ, მაგრამ იტალიელ მედიკოსებს ვერაფერი უშველიათ.

ტრევიზოს „ბენეტონის" მეორეხაზელი ოჯახის უმრწემესი წევრი იყო.



ივან ფრანჩესკატო

მისი ძმები — ლუიჯი, რინო და ბრუნო 70-80-იან წლებში ბურთაობდნენ ნაკრების შემადგენლობაში. თავად ივანი კი ის მორაგბე გახლდათ, ვინც 1997 წელს გრენობლში ფრანგთა ისტორიული ძლევისას გამარჯვების ლელო გაიტანა და თავის ქვეყანას სახელოვან მეზობლებთან პირველად მოაგებინა 40:32.

# ვინ არის პოლ გოლდსტაინი?



REUTERS მელბურნიდან

პოლ გოლდსტაინი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჯერ კიდევ ორი დღის წინ ერთეულებმა თუ იცოდნენ, ვინ იყო 22 წლის პოლ გოლდსტაინი. მის საუკეთესო მიღწევად აქამდე სტენფორდის უნივერსიტეტის წარმატებით დასრულება ითვლებოდა და არა საჩოგბურთო სარბიელზე ასპარეზობა, სადაც სატრაბახო პიტ სამპრასისთვის ერთი სეტის მოგება თუ ჰქონდა.

არაფერი იცოდა მეტოქის შესახებ ტურნირზე მერვედ განთესილმა გრეგ რუზეცკიმაც, რომელსაც სხვა ფავორიტების ადრეული გავარდნის გამო ნახევარფინალამდე გზა თითქოს ხსნილი ჰქონდა.

მაგრამ, მეორე წრის მატჩი დაიწყო თუ არა, აღმოჩნდა, რომ პოლ გოლდსტაინს შესანიშნავი მიღება, არცთუ ურიგო მოწოდება და დაძაბულ მომენტებში სრულიად აუღელვებლად თამაშის უნარიც ჰქონდა. წყობიდან კი მალე თავად რუზეცკი გამოვიდა, მეტოქის სტაბილური თამაშით გაღიზიანებულმა სულ უფრო უმატა შეცდომებს და მატჩ-პოინტზეც იოლი სმეში კორტს კარგა მოყოლით გადააცილა — საბოლოოდ 6:4, 6:7 (9:11), 7:6 (7:5), 6:2 ამერიკელის სასარგებლოდ.

„მას ყველაზე უკეთესი მიღება აქვს, ვისთანაც კი მითამაშია. არც ერთი ქულის იოლად დათმობა არ სურდა — აღნიშნა მატჩის შემდეგ რუზეცკიმ — იქნებ უკეთესი იყო, სამპრასის მსგავსად შინ დავრჩენილიყავი და ერთი თვე დამესვენა".

ამერიკელის პრესკონფერენცია გარდაუვალი კითხვით დაიწყო: ვინ არის პოლ გოლდსტაინი?

„პოლ გოლდსტაინი არის როკვილიდან, მერილენდის შტატი. მას ჰყავს ორი ყველაზე მხარდამჭერი მშობელი მსოფლიოში, ორი შესანიშნავი ძმა და ამ წუთში თავს საკმაოდ კარგად გრძნობს" — იყო პასუხი.

გოლდსტაინი პროფესიონალურ სარბიელზე გადაბარგებას არ ჩქარობდა: მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას და 20 წლამდე ასი ათასების დაგროვებას მან, თავისივე თქმით, მეცნიერებისა და ინჟინრების გარემოცვაში ყოფნა არჩია. დაასრულა უნივერსიტეტი, საიდანაც ჯონ მაკინროი ერთი წლის შემდეგ გამოაგდეს და გასულ ივნისში „რასის სოციალ-ეკონომიკური" განხრით დიპლომიც აიღო.

კლასიფიკაციით 187-ე გოლდსტაინი „ოუფენზე" საკვალიფიკაციო ტურნირის გავლით მოხვდა და რუზელკისთან მატჩს, როგორც აღმოჩნდა, სწორი ტაქტიკით — „თითოეული უკან მიბრუნებული მიღება კარგი მიღებაა" — შეხვდა. ყოველ შემთხვევაში, მელბურნს მორიგი ფავორიტი ნამდვილად დააკლო.

დააკლდათ მასპინძლებს თავიანთი „ოქროს ბიჭი" ლეიტონ ჰიუიტიც. 17 წლის ავსტრალიელმა გერმანელ ტომი ჰაასთან შეხვედრაც კარგად დაიწყო, პირველი სეტის მოგების შემდეგ მეორეში 4:2-თაც დაწინაურდა, მაგრამ ეს იყო და ეს: ბეკერის მემკვიდრეს ბევრი ალარაფერი გასჭირვებია 4:6, 6:4, 6:3, 6:4.

გაცილებით ნაკლები ენერგია დაახარჯა მეორე წრის შეხვედრას ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა პეტერ კორდამ. დოპინგ სკანდალში გახვეულმა ჩეხმა პირველ წრეში კოჭი გადაიბრუნა და ხუთ სეტში გამარჯვების მიუხედავად, შეიძლებოდა ასპარეზობა ველარ გაეგრძელებინა, თუმცა ტრავმა, საბედნიეროდ, მოსალოდნელზე სწრაფად მოურჩა.

„კოჭი ისევ გასივებულია და ხანდახან ძალიან მაწუხებს, მაგრამ თუ გუშინ შავი ფერი ჰქონდა, ახლა უკვე ყვითელია" — აღნიშნა ტურნირიდან უკანასკნელი ესპანელის, ხულიან ალონსოს 6:3, 6:1, 6:1 გაგდების შემდეგ ჩეხმა.

კორდას, რომელსაც დოპინგ-ტესტში ჩავარდნის გამო ისეც ლამის ყველა კოლეგა ჰყავს გადაკიდებული, ამჯერად მაყურებლებიც აუმხედრდნენ: რამდენიმე მათგანი მთელი მატჩის მანძილზე ლანძღვა-გინებით იკლებდა ჩოგბურთელს „არ მსურს ამაზე საუბარი, ამით ხასიათიც კი არ გამფუჭებია. მამაჩემი ყოველთვის მეუბნებოდა, რაც უნდა მოხდეს, თავი მაინც მაღლა უნდა გქონდეს აწეულიო".

**კაცები. მეორე წრე: ანდრე აგასი (5, აშშ) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 7:6 (7:5), 6:2, 6:0; ევგენი კაფელნიკოვი (10, რუსეთი) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 7:5, 3:6, 7:6 (12:10), 7:6 (7:3); ტოდ მარტინი (15, აშშ) — ჰენდრიკ დრეეკმანი (გერმანია) 4:6, 6:2, 7:6 (7:5), 6:2; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — სესილ მემიტი (აშშ) 6:2, 7:5, 7:6 (9:7).**

მელბურნში გასახდელში ჩოგბურთელთა საყვარელი სასაუბრო თემა ანა კურნიკოვას ორმაგი შეცდომებია.

„და მეშვიდე დღეს ღმერთმა შექმნა ანა " — აწერია ერთ-ერთი ჯგუფის მიერ რუსის თამაშებზე გამოკიდულ პლაკატს. „ოღონდ დაავიწყდა, მისთვის მოწოდება ესწავლებინა" — უმატებს ზოგიერთი ენამწარე.

17 წლის რუსმა მეორე წრის შეხვედრა პროფესიონალ ჩოგბურთელისათვის სამარცხვინო შედეგით — 31(!) ორმაგი შეცდომით დაასრულა, მაგრამ რა საოცარიც უნდა იყოს, კლასიფიკაციით 80-ე იაპონელი მიჰო საეკის დამარცხება მაინც მოახერხა 1:6, 6:4, 10:8.

ყველაზე უცნაური კი მაინც მესამე სეტი იყო, სადაც რუსი 5:0 დაწინაურდა, მაგრამ სამი მატჩ-პოინტი ორმაგი შეცდომებით გაანიავა და კორტზე თითქმის ორსაათნახევრით დასარჩენადაც გაწირა თავი. შეხვედრის მოგების შემდეგ კი გახარების ნაცვლად ანამ ცრემლები გადმოყარა და პირსახოცს შეფარებული კარგა ხანს ქვითინებდა.

„ეს ჩემთვისაც ისეთივე საწყენია, როგორც მაყურებლებისთვის. ვარჯიშის დროს ყველაფერი გამომდის, მაგრამ როგორც კი მატჩის დროს ხაზთან ვდგები, თითქოს ალარაფერი მახსოვს" — განაცხადა რუსმა და როდესაც მოწოდების შესახებ კითხვები მიაყარეს, ჟურნალისტებს საუბრის თემის გამოცვლა თხოვა.

კურნიკოვას ორმაგ შეცდომებს პრესკონფერენციაზე სხვა ჩოგბურთელებიც გამოეხმაურნენ. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ლინდსი დევანპორტმა განაცხადა, იქნებ ანას მარტინა ჰინგისმა, მისმა ამჟამინდელმა მეწყვილემ უშველოსო. ამერიკელმა ტოდ მარტინმა კი ანა დაამშვიდა, რა არის სანერვიულო, ერთხელ მეც დავუშვი 28 ორმაგიო, მერე კი დაამატა — ოღონდ ექვსი თვის განმავლობაშიო.

მეორე წრის პირველი სენსაციაც შედგა: ავსტრიელმა ბარბარა შეტმა მეოთხედ განთესილ არანჩა სანჩეს ვიკარიოს მოუგო, თანაც ამას საათზე ნაკლები დრო დახარჯა 6:2, 6:2.

**მეორე წრეში. ქალები: მარტინა ჰინგისი (2, შვეიცარია) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:3, 6:2; მონიკა სელეში (6, აშშ) — ალესია დეშომ-ბალრე (საფრანგეთი) 6:1, 6:4; მარი პირსი (7, საფრანგეთი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 6:2, 6:1; შტეფი გრაფი (10,**



REUTERS მელბურნიდან

ლეიტონ ჰიუიტი

**გერმანია) — ბარბარა შვარცი (ავსტრია) 4:6, 6:1, 6:2; ამანდა კუტცერი (16, სამხ. აფრიკა) — ჟული ალარი (საფრანგეთი) 4:6, 7:5, 6:4; სანდრინ ტესტიუ (14, საფრანგეთი) — ელს კალენსი (ბელგია) 6:3, 6:1; სერენა უილიამსი (აშშ) — მაუი სერნა (ესპანეთი) 6:1, 6:3**

ავთანდილ სვანიძე

---

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

# მე ისევ მინდა, კაიფი ვიგრძნო

ახლა უკვე შორეულ 1992 წელს ჯენიფერ კაპრიატი ნამდვილი სუპერვარსკვლავი იყო. 16 წლის ამერიკელმა გოგომ მცირე ასაკშივე მოასწრო მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შესვლა, ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალისტობა და ოლიმპიური ჩემპიონობა. მაგრამ მალე ჯენიფერი ჯერ მარიხუანის ხმარებაზე გამოიჭირეს, მერე ქურდბაცაცობაზე და კაპრიატის გვარიც კარგა ხნით იქცა ნაადრევი დიდებით წახდენილი ბავშვის სინონიმად.

ახლა უიღბლო ჩოგბურთელი საუკეთესო ასეულის მიღმა იმყოფება, მელბურნში კი მეორე წრეში ვინმე ანტონიო სანჩეს ლორენსოსთან დამარცხდა 6:7, 2:6



სარბიელის არქივიდან

ჯენიფერ კაპრიატი

**— ჯენიფერ, მარცხს რას დააბრალებდი?**

— ალბათ, სათამაშო პრაქტიკა მაკლია. თანაც, წარსულში საკუთარ თავს არასოდეს ვეტყოდი, ჩაბარდი, არაფერი გამოგივა-მეთქი. ახლა კი რაღაც უფრო უარყოფითად ვარ განწყობილი, თითქოს არც კი მჯერა, რომ მოვიგებ. იმის ნაცვლად, რომ ფსიქოლოგიურად ძლიერი ვიყო და საკუთარ თავს რისკისკენ მოვუწოდო, როგორც ადრე ხდებოდა... იცით, მე მგონი, სწორედ ეს მაკლია. შეიძლება იმის გამო, რომ ცხოვრებაში იმდენი უარყოფითი რამ გადამხდენია თავს.

**— ამის გამოსწორებას როგორ აპირებთ? ფსიქოლოგს ხომ არ მიმართავთ?**

— ალბათ, ძალა საკუთარ თავში უნდა ეძიო. მწამს, ჯერ ყველაფერი არ დამიკარგავს, ეს ხომ რაიმე ნივთი არ არის, ერთ დღეს რომ გქონდეს და მეორე დღეს — არა.

**— მაშ, იმუშავებთ ფსიქოლოგიურ მზადყოფნაზე?**

— არ ვიცი. ვფიქრობ, მთავარია, ირგვლივ დადებითად განწყობილი ხალხი გყავდეს, საკუთარი ძალების რწმენა რომ შეგმატონ. ამჟამად ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ ჩემი ოჯახისგან, სხვა ადამიანებისგანაც. კარგი იქნებოდა, ერთი-ორი მატჩი კიდევ რომ მომეგო, მაშინ თავს გაცილებით უკეთ ვიგრძნობდი.

**— ძნელია ცუდი შედეგების მიუხედავად ენთუზიასტად დარჩენა? კიდევ მოწყურებული ხართ თამაშს?**

— კი. მგონი, უფრო მოწყურებული, ვიდრე ადრე, კიდევ მეტად მსურს უკან დაბრუნება და გამარჯვებების მოპოვება. ძალიან მენატრება კორტზე ყოფნა და თამაში. მას შემდეგ იმდენი ხანი გავიდა...

**— ჩოგბურთი ისევ გიყვართ?**

— კი.

**— წლეულს რა ამოცანებს უსახავთ საკუთარ თავს? როგორ ფიქრობთ, ისევ შეგიძლიათ საუკეთესო ათეულში, ოცეულში მოხვედრა? რა ამბიციები გამოძრავებთ?**

— რა თქმა უნდა, ძალიან მინდა საუკეთესოთა შორის მოხვედრა. მაგრამ ამჟამად მთავარია, ვარჯიში გავაგრძელო და საკუთარ თავს ბევრი არ მოვთხოვო. იმედია, რაც უფრო ბევრს ვითამაშებ, ყველაფერი უკეთესობისკენ წავა.

**— ჯენიფერ, ამჟამად ავსტრალიაში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ელენა დოკიჩზე, რომელიც 15 წლის ასაკში ვარსკვლავი ხდება. რას ურჩევდით მას, რას უნდა აარიდოს თავი?**

— ასეთი რჩევის მისაცემად, ალბათ, ყველაზე ნაკლებად გამოსადეგი ადამიანი მოძებნეთ, სათქმელი მე არაფერი მაქვს. ალბათ, მთავარია, ყველაფერი ძალიან სერიოზულად არ აღიქვას და თამაშისგან სიამოვნება მიიღოს.

**— თუ ეთანხმებით WTA ტურის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც ნორჩ ჩოგბურთელებს მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ტურნირებზე შეუძლიათ თამაში?**

— არა. თუ ჩოგბურთელს თამაში სურს და საკმარისად ძლიერიცაა, რატომ არ უნდა ითამაშოს, რამდენიც მოესურვება?

**— ჯენიფერ, ძალიან ამაღლდა ქალთა ჩოგბურთის დონე იმ დროსთან შედარებით, როდესაც თქვენ საუკეთესო ათეულში იყავით?**

— ვფიქრობ, სიღრმემ იმატა. საუკეთესო ჩოგბურთელებთან თამაში ყოველთვის ძალიან ძნელი იყო, მაგრამ, იცით, ამჟამად გაცილებით მეტი კარგი ჩოგბურთელია. მგონი, ფიზიკური მზადყოფნის დონეც ამაღლდა.

**— საუკეთესო ფორმაში რომ ყოფილიყავით, როგორც ვთქვათ, 1992-ში, ამ მატჩს მოიგებდით?**

— ძნელი სათქმელია. არ ვიცი. ვფიქრობ, საუკეთესო ფორმაში ნებისმიერთან პაექრობა, ნებისმიერის დამარცხება შემიძლია. თუმცა, ძნელი სათქმელია, ვფიქრობ, ჩემი საუკეთესო ფორმაც ძნელი მისაღწევია.

**— როცა იმას იხსენებთ, დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალში როგორ ასპარეზობდით და კორტზე რა კარგად გრძნობდით თავს, ეს ახლა სიზმარს ჰგავს?**

— დაახლოებით ასეა. როგორც უკვე გითხარით, ძალიან მენატრება ისეთი სიტუაციები, როდესაც თითოეული მაყურებელი შენთან ერთად განიცდის წარმატებას თუ შეცდომას. რა თქმა უნდა, ეს დიდი ზეწოლაც იყო, მაგრამ ამავე დროს, დიდი სიამოვნებაც.

**— მნიშვნელოვან მატჩებს გულისხმობთ?**

— ჰო, რა თქმა უნდა, იმ ადრენალინის, კაიფის შეგრძნებას, რაც დაძაბულ მომენტებს მოჰქონდა თან. ძნელია ამის აღწერა, მაგრამ დიდებული გრძნობაა, სწორედ მსგავს სიტუაციებში ხელახლა აღმოჩენა მსურს ყველაზე მეტად.

თარგმნა
ავთანდილ სვანიძემ

# ნინო ხურციძემ პრიზები დაიბედა

## ვიდრე ჟუჟა პოლგარი ფეხმძიმედაა

**საერთაშორისო დიდოსტატმა ნინო ხურციძემ დეკემბრის შუა რიცხვებში ვაჟთა შორის საქართველოს ჩემპიონატში გაიმარჯვა და მალევე ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში გაემგზავრა წინასაახალწლო ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე. ახალ წელს ნინო საბერძნეთში შეხვდა. ათენურ ტურნირში ჩვენს თანამემამულეს არცთუ ურიგოდ უასპარეზია, თუმცა ყოველივე ამის შესახებ ჯობს თავად ნინოს მოვუსმინოთ**



ნინო ხურციძე

— ტრადიციულად დეკემბერში გრონინგენში იმართება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობის უფლება ქალებსაც აქვთ. ტურნირზე საკმაოდ დიდი ფულადი პრიზებია დაწესებული, ორგანიზაციაც მასპინძლებს ისეთი მაღალი დონისა აქვთ, რომ ეს შეჯიბრება ყოველთვის მონაწილეთა სიმრავლით გამოირჩევა. ასე იყო ამჯერადაც. 200-მდე მოჭადრაკე ჩამოვიდა გრონინგენში, მათ შორის 30-ზე მეტი ქალი გახლდათ. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით — 11 ტურად იმართება და ტურნირის ბოლოს მოჭადრაკე ქალთა შედეგები ცალკე ჯამდება. პირველ ხუთ ადგილზე გასული ქალებისთვის საგანგებო პრიზები იყო დაწესებული.

ტურნირი კარგად დავიწყე, 6 ტურის შემდეგ 4 ქულა მქონდა. გამოვყოფდი მესამე ტურის პარტიას მასპინძელ დიდოსტატ ვან დერ დოელთან. ამ 21 წლის მოჭადრაკეს ჰოლანდიელები ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ. მასთან თავიდანვე უკეთესი პოზიცია მქონდა, ზედმეტი პაიკიც, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით შეძლო ყაიმის მიღწევა. კურიოზული გამოდგა შეხვედრა მეორე ჰოლანდიელთან იონკერთან ბოლოსწინა ტურში. შავებით მოსაგები პოზიცია მქონდა, თანაც ჩემს მეტოქეს 10 სვლისთვის მხოლოდ წუთილა ჰქონდა. სამწუხაროდ, შამათი ვერ შევნიშნე და დავმარცხდი. არადა, ორივეს მოგება გაჭირდებოდა საერთაშორისო ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად. სულ კი 3 დიდოსტატს და 4 საერთაშორისო ოსტატს შევხვდი. რომ არა ეს დანაკარგები, ალბათ, ქალებში პირველ ადგილსაც დავიკავებდი. ბოლო ტურში გერმანელ მოჭადრაკეს მოვუგე და საბოლოოდ მესამე-მეხუთე ადგილები გავიყავი უკრაინელ ელენა სედინასთან და პოლონეთიდან ამერიკაში გადასულ ანჟელა ბელოკოვსკაიასთან ერთად. უკეთესი კოეფიციენტით საპრიზო აგილი მე მხვდა წილად. პირველობა კი მოლდოველმა ელმირა სკრიპენკომ მოიპოვა. მეორე იყო პოლონელი ივეტა რაძიევიჩი.

**— ამ ტურნირში სხვა ქართველი მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ...**

— კაცებში გაიმარჯვა თბილისში გაზრდილმა სომეხმა სერგო მოვსესიანმა, რომელიც ამჯერად ჩეხეთის სახელით ასპარეზობდა. ზურაბ სტურუამ მე-5 ადგილი დაიკავა. მისმა მეუღლემ ნინო გურიელმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო შეჯიბრების დამთავრება. თელაველმა ანა მათნაძემ 5,5 ქულის მოგროვება შეძლო, ხოლო მის პირად მწვრთნელს ნონა გაფრინდაშვილს ტურნირის ბოლოს 4,5 ქულა ჰქონდა.

**— საბერძნეთის ტურნირი უფრო იღბლიანი გამოდგა თქვენთვის...**

— საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირი მეათეჯერ ჩატარდა და ათენის ერთ-ერთ უბან ანოლიოზიას სახელს ატარებს. საბერძნეთშიც 200 მონაწილე იყო და საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამაც მოიყარა თავი. შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარებულ ამ შეჯიბრებაში 6,5 ქულით პირველი ადგილი დავიკავე და ვაჟი საერთაშორისო ოსტატის ნორმატივს ნახევარი ქულით გადავაჭარბე. ამ წოდებას, ალბათ, ფიდეს უახლოეს კონგრესზე მომანიჭებენ. ტურნირის გამარჯვებული რუსეთის სახელით მოასპარეზე დიდოსტატი ელდარ იბრაგიმოვი გახდა.

**— ახლა, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის იწყებთ მზადებას...**

— მსოფლიოს ჩემპიონატი კიშინიოვში უნდა გაიმართოს სექტემბერში. იგი, ვაჟ მოჭადრაკეთა მსგავსად, ახალი წესებით — კერძოდ კი „ნოკაუტ-სისტემით“ ჩატარდება. ჩვენგან პერსონალურად მიწვეულნი არიან წინა ციკლის პრეტენდენტები მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთინო არახამია, ნინო გურიელი და ნონა გაფრინდაშვილი. დანარჩენი ხუთი ადგილის დასაკავებლად კი ზონალურ ტურნირში წარმატებით გამოსვლაა საჭირო. მე, როგორც საქართველოს ჩემპიონს და კიდევ რამდენიმე ჩვენიანს ქვეჯგუფში იუგოსლავიელ, ბერძენ, სომეხ, ალბანელ, თურქ და მალტელ მოჭადრაკეებთან მოგვიწევს ბრძოლა. ფიდეს უახლოეს ასამბლეაზე გადაწყდება, თუ სად გაიმართება ეს შეჯიბრება. სავარაუდოა, რომ იგი მალტაზე ჩატარდება. რაკი ყოველივე ეს ჯერ გარკვეული არ არის, წინასწარ ვერც კი გეტყვით, რომელ ტურნირებს ავირჩევ მოსამზადებლად.

**— მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი, ფაქტობრივად, ჯერ არ გამოვლენილა, ამის შესახებ ახლა ხომ არაფერია?**

— იცით, რომ დიდოსტატი ალისა გალიამოვა ჩინეთში სიუჟუნთან სათამაშოდ არ ჩავიდა და გამარჯვებულად ჩინელი მოჭადრაკე გამოცხადდა. სწორედ მას უნდა ეთამაშა მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის წოდებისთვის უნგრელ ჟუჟა პოლგართან. ეს შეხვედრა ჯერაც არ გამართულა. თავიდან პოლგარი არ თანხმდებოდა თამაშზე, მერე მოინდომა, ოღონდ თავისი პირობები შესთავაზა ფიდეს: ფეხმძიმედ ვარ და თამაში სამი თვით გადამივადეთო. თუ ჟუჟამ ისევ უარი თქვა თამაშზე, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ისევ გალიამოვა და სიუ ჟუნი შეხვდნენ ერთმანეთს და ჩემპიონადაც მათ შორის გამარჯვებული გამოცხადდეს. ფიდეს ჯერ ბოლომდე არ გადაუწყვეტია ეს ყველაფერი და ზუსტ ინფორმაციაზე ვერც მე დავდებ თავს.

**ზურაბ ტაბატაძე**



# მოვიდა, გამოიძინა, გაიმარჯვა

**ერთი, მხოლოდ ერთი დღე დასჭირდა აწ უკვე ფლორიდელ პაველ ბურეს, რათა ყველა დაერწმუნებინა, რა მოაკლდა ლიგას ნახევარი სეზონის განმავლობაში. ბურე ნიუ იორკში სამშაბათს ჩაფრინდა, ერთი კი გამოიძინა, დილით პარტნიორებთან ივარჯიშა და ახალი კლუბის, ფლორიდის გულშემატკივართა გულებიც დაიპყრო**



REUTERS

პაველ ბურეს (მარცხნივ) პირველი ფლორიდული გოლი ახალმა თანაგუნდელმა იაროსლავ შპაჩეკმა მიულოცა

20 იანვარი

**აილენდერსი — ფლორიდა 2:5 (1:1 0:1 1:3)**

1:0 რაიხელი 6;42 (10); 1:1 გარპენლოვი 7;11 (9); 1:2 ბურე 27;39 (1); 1:3 უიტნი 48;07 (15); 1:4 ბურე 51;17 (2); 1:5 ტვორჟაკი 52;05 (7); 2:5 კროული 57;42 (1)

ასეთ დებიუტს არავინ ელოდა. „რუსულ რაკეტას“ ნახევარი წლის განმავლობაში არ უთამაშია და, ცხადია, პირველივე მატჩში სრული დატვირთვით ვერ იასპარეზებდა. მან მოედანზე 12 წუთზე ნაკლები დაჰყო, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რათა გულშემატკივრები თავის ოსტატობაში დაერწმუნებინა. 28-ე წუთზე კი იქ მყოფნი შედევრის მოწმენი გახდნენ — ბურემ მოედნის შუაგულში რობერტ შვეჰლასგან მიიღო შაიბა, მაშინვე ჩვეულად აჩქარდა, ერთბაშად ორი მცველი ჩამოიტოვა, ცნობილ მეკარე ფელიქს პოტვინთან პირისპირ დარჩა, მერე ჩინებული ცრუმოძრაობით იგი დააწვინა და შაიბა ცარიელ კარში შეაცურა... თორმეტიათასიანმა „ნასაუ კოლიზეუმმა“ სტუმარ ვარსკვლავს ოვაცია მოუწყო. ხოლო მას შემდეგ, რაც ბოლო მესამედში „რუსულმა რაკეტამ“ პარტნიორთა კომბინაცია გოლით დაასრულა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა, ნათელი გახდა, რომ ბურე ისევ ის ბურეა. ასე რომ, ფლორიდა სერიოზული, ანგარიშგასაწევი ძალა ხდება. მატჩის შემდეგ ბურემ მოკრძალებით თქვა, ჯერჯერობით უკეთ ვერ ვითამაშებდი, რადგან ჩვეული ფორმისგან ძალიან შორს ვარო. აღსანიშნავია, რომ ბურემ მთლიანად რუსულ სამეულში ითამაშა ვიქტორ კოზლოვსა და ოლეგ კვაშას გვერდით. კიდევ ერთი სახელოვანი დებიუტანტის, კრეიგ ჯენის პირველმა მატჩმა კი სრულიად შეუმჩნევლად ჩაიარა.

**დალასი — ტორონტო 4:6**

**1:1 1:3 2:2**

1:0 რეიდი 11;37 (3); 1:1 ბერეზინი 19;56 (15); 1:2 სუნდინი 24;00 (16); 1:3 კოროლიოვი 30;53 (11); 1:4 ბერარდი 31;46 (5); 2:4 ჰალი 35;08 (16); 2:5 ტომასი 46;35 (17); 3:5 საიდორი 48;35 (11); 4:5 საიდორი 49;55 (12); 4:6 სალივანი 57;20 (6)

კიდევ ერთი სანახაობრივად საინტერესო მატჩი გაიმართა ტორონტოს მონაწილეობით. სტუმრებმა თავადაც გაიხარეს და გოლის გატანის შესაძლებლობა მეტოქესაც მისცეს. იმედია, „ნეკერჩხლის ფოთლები“ კიდევ მრავალ სპექტაკლს გამართავენ, მით უმეტეს, რომ კლუბის ახალი შენამატი ბრაიან ბერარდი (1+2) თანდათან ლიდერად ყალიბდება. მისმა და დალასის წამყვანი მცველის დერილ საიდორის (2+1) ორთაბრძოლამ მატჩს სულ სხვა ეშხი შეჰმატა.

**ანაჰაიმი — ნიუ ჯერსი 3:4**

**1:0 1:2 1:2**

1:0 კარია 3;05 (19); 1:1 სტივენსი 21;15 (4); 2:1 რუჩინი 21;54 (14); 2:2 სიკორა 33;27 (13); 2:3 არნოტი 43;16 (10); 3:3 დრური 46;05 (1); 3:4 შარიფიანოვი 48;40 (7)

მიუხედავად იმისა, რომ კარია (1+1)-რუჩინი-სელიანეს სუპერტრიომ კვლავ საუცხოოდ ითამაშა (10 თამაშში მათ ანგარიშზე 47 ქულაა), მასპინძლები ამ მატჩშიც ვერ გადაურჩნენ მარცხს. არადა, წლეულს, როცა „იხვებს“ სამი ან მეტი გოლი გაჰქონდათ, იმ მატჩში არასოდეს მარცხდებოდნენ (+13=3-0).

## კვირის მოთამაშე

**ერიკ ლინდროსი (ფილადელფია)**



ერთ-ერთ წინა „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ საახალწლოდ ფილადელფიის კაპიტანმა ერიკ ლინდროსმა მორიგი ტვინის შერყევა მიიღო და ეს სადღესასწაულო დღეები საავადმყოფოში გაატარა. თუმცა „მფრინავთა“ ლიდერს დასვენება ერთობ მოუხდა და გამოჯანმრთელების შემდეგ გაორმაგებული ენერგიით შეუდგა საქმეს. ცხადია, ეს ნჰლ-ის მესვეურებმა უყურადღებოდ არ დატოვეს და ფორვარდი გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ლინდროსმა 3 მატჩში 8 (3+5) ქულა დააგროვა და მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტად მეკარეებმა იყოჩაღეს, კოლორადოელ პატრიკ რუას, მონრეალელ ჯეფ ჰეკეტს და თანაკლუბელ ჯონ ვანბისბრუკს მაინც აჯობა.

**კვირის საუკეთესო ექვსეული**

*პატრიკ რუა* (კოლორადო, 1); *ერიკ დეჟარდენი* (ფილადელფია, 1) — *ვლადიმერ მალახოვი* (მონრეალი, 1); *მაიკ მოდანო* (დალასი, 2) — *ერიკ ლინდროსი* (ფილადელფია, 4) — *ოუენ ნოლანი* (სან ხოსე, 1)

**სატურნირო ვითარება**

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 45 | 26 | 3 | 16 | 148:131 | 55 |
| ოტავა | 44 | 24 | 6 | 14 | 130:100 | 54 |
| ბუფალო | 43 | 23 | 7 | 13 | 119:86 | 53 |
| ბოსტონი | 42 | 20 | 7 | 15 | 115:94 | 47 |
| მონრეალი | 45 | 17 | 8 | 20 | 106:117 | 42 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 44 | 20 | 7 | 17 | 115:108 | 47 |
| ფლორიდა | 43 | 16 | 11 | 16 | 108:114 | 43 |
| ვაშინგტონი | 42 | 16 | 4 | 22 | 99:109 | 36 |
| ტამპა | 44 | 10 | 4 | 30 | 91:152 | 24 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 43 | 23 | 10 | 10 | 131:86 | 56 |
| ნიუ ჯერსი | 43 | 24 | 5 | 14 | 126:115 | 53 |
| პიტსბურგი | 40 | 20 | 7 | 13 | 120:108 | 47 |
| რეინჯერსი | 44 | 17 | 7 | 20 | 116:122 | 41 |
| აილენდერსი | 45 | 13 | 3 | 29 | 101:134 | 29 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 45 | 22 | 3 | 20 | 131:121 | 47 |
| სენტ ლუისი | 41 | 16 | 9 | 16 | 109:104 | 41 |
| ნეშვილი | 44 | 16 | 4 | 24 | 102:140 | 36 |
| ჩიკაგო | 44 | 12 | 7 | 25 | 94:138 | 31 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 43 | 27 | 7 | 9 | 127:89 | 61 |
| ფინიქსი | 41 | 24 | 6 | 11 | 110:84 | 54 |
| ანაჰაიმი | 44 | 17 | 8 | 19 | 110:105 | 42 |
| სან ხოსე | 44 | 15 | 11 | 18 | 102:103 | 41 |
| ლოს ანჯელესი | 44 | 16 | 4 | 24 | 104:118 | 36 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 44 | 21 | 4 | 19 | 110:111 | 46 |
| ედმონტონი | 43 | 18 | 6 | 19 | 123:113 | 42 |
| ვანკუვერი | 45 | 15 | 6 | 24 | 115:135 | 36 |
| კალგარი | 45 | 15 | 4 | 26 | 110:135 | 34 |

*ბომბარდირები.* კარია (ანაჰაიმი) 60 (19+41); ლინდროსი 58 (25+33); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 55 (27+28); იაგრი (პიტსბურგი) 54 (17+37); იაშინი (ოტავა) 52 (20+32); ფორსბერგი (კოლორადო) 51 (12+39); სელიანე (ანაჰაიმი) 50 (21+29); ფლერი (კალგარი) 47 (21+26); აიზერმანი (დეტროიტი) 47 (19+28); ბრინდამორი (ფილადელფია) 47 (17+30); სუნდინი (ტორონტო) 46 (16+30); მოდანო (დალასი) 46 (15+31)

# შიღბლონი და მატიასები

„All star game“-მდე სულ რაღაც 3 დღე დარჩა და, ცხადია, მასში მძიმედ დაშავებული დეტროიტელი გერმანელი უვე კრუპი და აილენდერსელი შვედი კენი იუნსონი ველარ ითამაშებენ. განსაკუთრებით საწყენი იუნსონის არყოფნაა, რადგან ეს მცველი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს, მაგრამ წლეულს უკვე მესამედ დაშავდა. ტრავმირებულთა ნაცვლად მსოფლიოს ნაკრებში ორი შვედი ითამაშებს — ვანკუვერელი მატიას ოლუნდი და ლოსანჯელესელი მატიას ნორსტრიომი.

**სამველ ღარიბიანი**

# ამისთვის წახვედი, მაიკლ?



REUTERS

იცანით? ჰო, ის არის — კალათბურთიდან წასული დიადი მაიკლ ჯორდანი. ახლახან ჩიკაგოში გამართულ პრესკონფერენციაზე მთელს დუნიას რომ გული დასწყვიტა, მორჩა, სპორტიდან წავედიო, იქვე დაამატა — ამიერიდან ოჯახსაც მეტ დროს დავუთმობ და გოლფის თამაშითაც ვიჯერებ გულსო. თქვა და შეასრულა კიდეც — გუშინ კალიფორნიის ქალაქ ლა კვინტას ეწვია, „კრაისლერ კლასიკის“ ტურნირში ითამაშა და ეს ფოტოც იქ გადაუღეს. ისე კი, მსოფლიოს სპორტს ის ერჩივნა, მაიკლს გოლფით თავის შექცევა დაეხანებინა და მილიონობით ქომაგი მისთვის ჩვეული, სხვათათვის კი მიუწვდომელი და გასაოგნებელი თამაშით გაეხარებინა.




REUTERS

ზადარი — რეალი. გუშინ ესპანელმა ალბერტო ერეროსმა (12) შავი დღე აყარა ზადარელებს: 30 ქულა ჩაუგდო

## ევროლიგა. XIII ტური

| E ჯგუფი | G ჯგუფი |
|---|---|
| ციბონა 71:79 ჟალგირისი | პაოკ 69:71 ცსკა |
| ცრვენა ზვეზდა 88:66 ფენერბაჰჩე | სამარა 61:71 კინდერი |
| ტდკ 51:69 პო ორტეზი | ტიმსისტემი 60:63 ოლიმპიაკოსი |
| **F ჯგუფი** | **H ჯგუფი** |
| ავტოდორი 66:77 ეფესი | ალბა 73:71 ვილერბანი |
| ტაუგრესი 74:77 პანათინაიკოსი | ულქერი 61:71 ოლიმპია |
| ვარეზე 100:96 მაკაბი | ზადარი 68:73 რეალი |

# სანამ ძრავები აღმუვლდებოდნენ

*ფორმულა 1-ის სეზონის დაწყებამდე დრო საკმაოა და სპორტული ფორმის აღსადგენად „ფერარის“ ირლანდიელ და გერმანელ მრბოლებს, ედი ირვინსა და მსოფლიოს ჩემპიონ მიხაელ შუმახერს იტალიის ჩრდილოეთით, მადონა დი კამპილიო შეურჩევიათ.*

*ირვინი ციგურებზე შემდგარა, ხელში ყვანჯი დაუჭერია და ჰოკეით ერთობა, შუმახერს კი აქაც რბოლისკენ გაუწია გულმა — ძაღლების მარხილით შეჯიბრში გამოსცადა თავი.*



REUTERS




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური ფეხბურთის განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე ინფორმაციის განყოფილება ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29